

ნინო კალანდაძე-მახარაძე

– Homo Polyphonicus –

პოლიპარამე ხუბულავა



გამომცემლობა უსტარი

თბილისი

2015

ფონდი „ქართული გალობა“



ციხი გამოიცა ფონდი „ქართული გალობისა“ და მისი  
დამფუძნებლის – ვანო ჩხარტიშვილის დაფინანსებით

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი



პროექტის ხელმძღვანელი საქართველოს ფოლკლორის  
სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი  
გიორგი ლონაძე

რედაქტორი – ბაია ასიეშვილი  
მუსიკალური რედაქტორი – ნანა ვალიშვილი  
მხატვარი, დიზაინერი – გიორგი დემეტრაშვილი  
სანოტო ტექსტის კომპიუტერული გრაფიკა – ლევან ვეშაპიძის

გამომცემლობის რედაქტორი: თამარ გელოვანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლია სულაქველიძის

© ფონდი „ქართული გალობა“, 2015

გამომცემლობა უსტარი  
ტელ.: 2964081; 790 96 40 82.  
ustari2010@gmail.com  
www.ustari.ge

ISSN 2346-7991 ქართული სიმღერის მოამაგენი – წიგნი III

ISBN 978-9941-9396-1-7 პოლიკარპე ხუბულავა

## ს ი ლ ტ რ ი


ნინამდებარე ნაშრომი გამოჩენილი ქართველი მომ-  
ლერლისა და ლოტბარის – პოლიკარპე ხუბულავას საიუბილეო  
თარიღისათვის მომზადდა. პიოგრაფიულ მონაცემებთან ერ-  
თად მასში 90 წლის შემსრულებლის ნააზრევი და მოგონებე-  
ბიც შევიდა. აქვე გაეცნობით ცნობილი მუსიკოსების შეფასე-  
ბებს, ბატონი პოლიკარპეს გუნდებისა და ანსამბლების წევრთა  
ინტერვიუებს, დოკუმენტურ და ფოტომასალას, რეპერტუარს,  
ბიბლიოგრაფიას, დისკოგრაფიას, აუდიომასალას.

ფოტომასალა აღებულია პოლიკარპე ხუბულავას საო-  
ჯახო არქივიდან, ზუგდიდის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული  
და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრების  
ფონდებიდან.

ვფიქრობთ, ეს მოკრძალებული საჩუქარი გაახარებს ქარ-  
თული ტრადიციული მუსიკით დაინტერესებულ მკითხველს,  
ხელს შეუწყობს პოლიკარპე ხუბულავას შემოქმედების და  
ზოგადად, ხალხური შემსრულებლობის პრობლემების შემდ-  
გომ კვლევას.

წიგნზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის ავტორი  
მადლობას უხდის მუსიკისმცოდნე ლალი ქობალიას და მის  
ოჯახს.

სამწუხაროდ, წიგნის დაბეჭდვამდე, 2015 წლის 1 იანვარს,  
პოლიკარპე ხუბულავა გარდაიცვალა.





ქართული ხალხური სიმღერის მოამაგე

შოლიკარჩე წუბულავა

მეგრული სიმღერის აღდგენა-შოლურარიზაციაში  
შეტანილი წვდილისთვის

11 ივნისი 2013 წელი

სრულიად საქართველოს  
ქათამიურე-პატრიარქი  
იღია II

ფონდის დამფუძნებელი  
განო წხარტიმფილი



## წინათქმის მაგიერ

2013 წელი. 17 აგვისტო.

თბილისი. დავით აღმაშენებლის გამზირი №105.

ბატონი პოლიკარპე ხუბულავა და მე ფოლკლორის სასახლის წინ, ე. წ. „არტოს ბალში“<sup>1</sup>, ვსხედვართ და პირველი მსოფლიო ომის დროს ქართველი ტყვეებისგან ჩაწერილ სიმღერებს ვისმენთ. ჩემი კოლეგის, ბერლინელი ეთნომუსიკოლოგის, სუზან ციგლერის მიერ ჩამოტანილი ჩანაწერებიდან, რომელთა გამოცემა 2014 წელს იგეგმება, საგანგებოდ შევარჩიე მეგრული ნიმუშები და მეგრელი შემსრულებლების შესახებ არსებული ინფორმაცია. ერთ-ერთი მომღერალი – ვასილი – მისი მოგვარეა. სოფლების, სიმღერების ვარიანტებისა და უანრების დაზუსტებისათვის პოლიკარპე ხუბულავაზე უკეთეს მრჩეველს ვის ვიპოვიდი?! თანაც ბატონმა ანზორ ერქომაი-შვილმა მასზე წიგნის დაწერა მთხოვა...

Homo Polyphonicus-ი პოლიფონიურად, ანუ მრავალ ხმაში მოაზროვნე მუსიკოსს ჰქვია. ბატონი პოლიკარპე სწორედ ასეთია. მისთვის ჩვეულებრივია შებანება, ერთი ხმიდან მეორეზე გადასვლა. თუ რომელიმე ხმას მღერის, დანარჩენი აუცილებლად შინაგანად ესმის და მარტო, ანუ ერთ ხმაში, მღერა არ მოსწონს. მის ცნობიერებასა და იდენტობას მრავალხმიანობა განსაზღვრავს...

<sup>1</sup> არტო – აბრევიატურაა, «Артистическое общество»

## „კულტურა“

ცოტა ხანში ჩაწერა დაიწყება. დღეს აქ ქართული ხალ-  
ხური სიმღერის შემსრულებლობის ისტორიის ერთი ფურცელი  
იწერება: ოზურგეთელი გური და ტრისტან სიხარულიძეები,  
მერაბ კალანდაძე, ზუგდიდელი პოლიკარპე ხუბულავა და  
თბილისური ფოლკლორული ანსამბლის – „ბასიანის“ – ბიჭები  
საგანგებოდ შეასრულებენ ძველი გურული და მეგრული სიმ-  
ღერების ვარიანტებს. ხმის რეჟისორები – მიხეილ კილოსანი-  
ძე და დავით ხოსიტაშვილი კი ამ შემოქმედებით პროცესს  
დააფიქსირებენ, გამოსაცემად მოამზადებენ. დანამდვილებით  
ვიცი: ხვალ ყველაფერი ეს ისტორიის საკუთრებად, ქართული  
ტრადიციული მუსიკის შემსრულებელთა და მკვლევართა ყუ-  
რადლების საგნად იქცევა...

მეგრული სიმღერის ცოცხალი მატიანე, „ოდიშელი რაინდი“  
საკმაოდ სიტყვაძუნნი აღმოჩნდა. მთელი დღე გიმღერებს, ჩონ-  
გურზე დაუკრავს, მაგრამ საკუთარ თავზე საუბარი უჭირს. ამას  
პირველივე შეხვედრისას მივხვდი და საუბარში ჩასაყოლიებლად,  
მგონი, კარგი რამ მოვიფიქრე: მომღერლები, რომლებიც 1916-  
1918 წლებში ომმა და განგების ხებამ მიუწვდინთან ახლოს – ფუხ-  
ჰაიმის ტყვეთა ბანაკში შეყარა, მამამისის ასაკისანი იყვნენ...

ძალიან მინდა, წარმოვიდგინო გერმანელი მუსიკისმცოდ-  
ნების სახეები, როცა ასეთ, ევროპულისაგან განსხვავებულ,  
მრავალხმიანობას ისმენდნენ. ამ ჩანაწერებით დაიწყო ევრო-  
პაში ქართული პოლიფონის კვლევა...

ბატონ პოლიკარპეს ტყვეთა სიმღერების მოსმენისას  
თვალები უბრნყინავს, ზედა ხმას ჰყვება და აღტაცებას ვერ  
ფარავს: – მშვენივრადაა შესრულებული! როგორ მოუხერხე-  
ბიათ?! უფ, კარგია, ეს რომ მოვისმინე!

## ო უ ლ ტ რ უ ლ

ვპირდები, რომ გადავუწერ. ახლა ზუგდიდში ხანდაზ-მულების ანსამბლსაც ამეცადინებს და, იქნებ, სწორედ ეს ნიმუშები გააცოცხლონ?!

დღეს მსგავს ვარიანტებს აღარავინ მღერის. კარგი იქნება, თუ საუკუნის წინ ჩაწერილი სიმღერები ისევ ხალხს დაუბრუნდება. ამას კი ნამდვილად ვერ წარმოიდგენდნენ დატყვევებული ვასილ ხუბულავა, აღექსანდრე კორკელია, ერმილე კურავა (თუ ყურავა), კალისტრატე კანკავა, მიხეილ ქირია, გრიგოლ ხორავა და ათანასე გეგელია, ასი წლის შემდეგ მათი ძედინერა, ვოისა, ზესევი უჩა, რაშორერა, ქრისტე აღდგა და სხვა სიმღერები საქართველოში რომ დაბრუნდებოდა! ან იქნებ იმიტომაც მღეროდნენ, რომ სწორედ ამის იმედი ჰქონდათ?

საოცარია, ნამდვილად სასანულია! მართლაც, უდიდესი გამოგონება იყო ხმის ჩამწერი აპარატი! მადლობა უფალს! ბარაქალა, თომას ედისონს!

ისევ სიუზანი გამახსენდა. აინტერესებდა: ქართველი ტყვეების სიმღერებში სევდა და თავისუფლებაზე ფიქრი თუ შეიმჩნევაო. მახეში გაბმულ ჩიტებზე, გაზაფხულის მოლოდინზე ნათქვამი ნიმუშები და აღდგომის საგალობელიც რატომდაც სწორედ ამას დავუკავშირე. თურმე ზოგიერთ გერმანელს ასეთ ვითარებაში სიმღერების ჩაწერა ადამიანის უფლებების დარღვევად მიაჩნია. ეს არ ვიცი, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან, ვფიქრობ, რომ სამომავლო კვლევისათვის ასეთი შესაძლებლობის ხელიდან გაშვება მართლაც არ შეიძლებოდა.

სიმღერები კი დაგვიბრუნდა, მაგრამ, ნეტავ, თვითონ თუ დაბრუნდნენ სამშობლოში? ვინ იცის, როგორ ენატრებოდათ სენაკი და ზუგდიდი, ხობი, ჩხოროწყუ ან მარტვილი?

ტყვეებს შორის სხვა კუთხეების წარმომადგენლებიც იყვნენ. თუმცა ახლა მხოლოდ მეგრელ შემსრულებლებზე ვფიქ-

# ს ა ლ ტ ტ უ ს

---

რობ და ბატონ პოლიკარპესაც ბერლინის არქივიდან გადმო-  
წერილ მეგრულ სიმღერებს ვასმენინებ...

## საქორთუოშ მაფშალია

სოფელი ჯიხაშვარი//ჯიხასკარი, რომელიც ზუგდიდის  
რაიონს ეკუთვნის, ოდიშის დაბლობზე, მდინარე ჭანისწყლის  
მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს. ჯიხა ქართულად ციხეა,  
ჯიხაშვარი – ციხისკარია. ციხის შიგნით XIII-XIV საუკუნეებში  
აგებული პატარა ეკლესიაც მდგარა, რომელიც XVII-XVIII სს-ში  
დანგრეულა. ციხის გარშემო გაშენებული უბანი XX საუკუნის  
20-იანი წლების დასაწყისიდან ცალკე სოფლად – ჯიხაშვარად  
იხსენიება. მანამდე კი ის ვრცელი და მთაგორიანი სოფლის –  
ჭაქვინჯის (ჭის ფსკერის) ნაწილი ყოფილა. ჯიხაშვარში ხუ-  
ბულავების სახლი ახლაც დგას. პოლიკარპე ხუბულავა 1924  
წლის 18 აგვისტოს აქ დაიბადა.


ოჯახში ყველა მღეროდა. მშობლები, ქალიშვილები, ნაბო-  
ლარა ვაჟი. დედა, სოფელ ნარაზენიდან გამოთხოვილი მინა-  
დორა ბიგვავა, თავადაც მუსიკალური ოჯახიდან იყო. მამა-  
მისი – ივანე ბიგვავა და დედა – გუქიტი კარგი მომღერლები  
ყოფილან. მინადორა ჩინგურზე უკრავდა. მას არ უნდოდა,  
რომ პოლიკარპეს მუსიკოსის პროფესია აერჩია. ბიჭის კი მხო-  
ლოდ სიმღერა უყვარდა, ბურთი, თამაში არ აინტერესებდა,  
სხვა გატაცება არასოდეს ჰქონია. დები – ცინუკი, ბუჟღუ,  
ოლია, ლიდა, მარგო, კუკუშა, სონიჩკა – თავს ევლებოდნენ  
უმცროს ძმას: „ყველაფერი ჩემთვის უნდოდათ. მჭადს შუაზე  
რომ გადატეხდნენ, ვითომ შემთხვევით, მეტს ჩემკენ გამოაყო-

## ო ლ ტ უ რ

ლებდნენ. ცინუკიც უკრავდა ჩინგურზე, კუკუშა მშვენივრად მღეროდა. თავიდან, სანამ პატარა ვიყავი და მეშლებოდა სიმღერა, გაჩერდებოდნენ. მე მიკვირდა, ვერ ვხვდებოდი, რომ ჩემი ბრალი იყო. მერე კი იქით ვასწავლიდი სიმღერას. თუ წაახდენდნენ, ძალიან ვბრაზობდი და გავლახავდი კიდეც. მამა, როცა თავისუფლდებოდა და სახლში მოდიოდა, ყველა ერთად ვიღხენდით. პური რომ მოჰქონდა, გვიხაროდა – არ იშოვებოდა და იმიტომ“, – იგონებს პოლიკარპე. ხუბულავების მუსიკალური ოჯახი მთელი სოფლის პატივისცემას იმსახურებდა. უფრო მეტიც: ზოგიერთ მომღერალს მათი თანდასწრებით მღერა ერიდებოდა კიდეც. ბატონი პოლიკარპეს თქმით, საშობაო ალილოზე კარდაკარ ჩამომვლელი მიმღოცველები მის ეზოს გვერდს უვლიდნენ – პოლიკარპე კარგი მომღერალია და შევრცხვებითო.

მამა – 1882 წელს დაბადებული ერასტი (ერასტო) მელიტონის ძე ხუბულავა ცნობილი მგალობელ-მომღერალი და ლოტბარი გახლდათ. მას ორი წელი მარტვილის სამგალობლო სკოლაში უსწავლია.

მარტვილი (ძველად ჭყონდიდი) მართლმადიდებლური საქართველოს უმნიშვნელოვანესი ძეგლია. გადმოცემების თანახმად, აქ წარმართები თავიანთ კერპს – ჭყონდიდს ჩვილ ბავშვებს სწირავდნენ. ჭყონი მეგრულად მუხაა, ჭყონდიდი დიდ მუხას ნიშნავს. მარტვილის ტაძრის ტრაპეზი სწორედ იმ მუხის ძირზეა დადგმული, რომელიც ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში დასავლეთ საქართ-



ერასტი ხუბულავა

## ს ი ლ ტ ე რ ი


ველოში შემოსულმა მოციქულმა – ანდრია პირველწოდებულმა მოკვეთა. მარტვილი ამ ადგილს VI-VII საუკუნეებში ეწოდა, როდესაც აქ მონამეთა (მარტვილთა) ეკლესია ააგეს და მონასტერი აშენდა, თუმცა ჭყონდიდის სახელი საეპისკოპოსოს დიდხანს შერჩა.

მარტვილის მონასტერი დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი მწიგნობარნი და ჰიმნოგრაფები<sup>1</sup>. მონასტერში იყო კრიპტერია – გადამწერ ბერთა სამყოფი. ითარგმნებოდა წიგნები, იქმნებოდა ორიგინალური ნაწარმოებები. XI საუკუნეში აქ მოღვაწეობდა საქართველოს მეფის, დიდი რეფორმატორის – დავით აღმაშენებლის – მასწავლებელი და აღმზრდელი გიორგი ჭონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. უფლისწული დავითიც მარტვილში აღიზარდა. აქ დაიგეგმა საქართველოს გაერთიანება, თვით გელათის მონასტრისა და აკადემიის აშენებაც მარტვილში გადაწყდა. შეუძლებელია, რომ მარტვილში მაღალი დონის სამგალობლო სკოლა არ ყოფილიყო და ქრონოლოგიურად ის წინ არ უსწრებდეს გელათისას.

ამდენად, მარტვილთან დაკავშირებული მოღვაწეების ცხოვრებისეული დეტალებისა თუ სამგალობლო ნიმუშების მოძიება უაღრესად მნიშვნელოვანია<sup>2</sup>. ერასტი ხუბულავა ერთ-ერთი მათგანია და მის რეპერტუარში შემონახული საგალობლები მარტვილის სამგალობლო სკოლის ნიმუშებად უნდა მივიჩნიოთ.

<sup>1</sup> იოანე მინჩხი (X ს.), სტეფანე სანანიოსძე (X ს.), იოანე მთავარეპისკოპოსი (XI ს.), იოანე მესვეტე (XI ს.), წმ. მლვდელმთავარი ანტონ ცაგარელ-ჭყონდიდელი (XVIII-XIX სს.), რომანოზ მესვეტე (XIX ს.), დავით ჭყონდიდელი (XIX ს.) და სხვ.

<sup>2</sup> მაგალითად იხილეთ მაგდა სუხიაშვილისა და ეკატერინე ონიანის ნაშრომები.



მარტვილი 1913 წ.

ერასტი ხუბულავა გალობას მაქსიმე ვეკუასთან დაუფლებია. ბატონი პოლიკარპე ფიქრობს, რომ სოფელ კინიის მკვიდრ მაქსიმეს პროფესიული მუსიკალური განათლებაც უნდა ჰქონოდა, რადგან ვიოლინოზე უკრავდა და, თურმე, შეგირდებს ტონსაც ამ საკრავით აძლევდა. მაქსიმეს ხალხური სიმღერებიც სცოდნია. ო, და-ს მისეულ ვარიანტს დღესაც ასრულებენ ფოლკლორული ანსამბლები<sup>3</sup>. დაკრძალული უნდა იყოს ჩხოროწყვას რაიონის სოფელ ახუთში<sup>4</sup>. მაქსიმეს

<sup>3</sup> იხ. შევისწავლით ქართული ხალხური სიმღერა. მეგრული სიმღერები. სანოტო კრებული ოთხი კომპაქტდისკით. თბ., 2005. საქართველოს მაცნე. გვ.: 120.

<sup>4</sup> ამ პიროვნების შესახებ სხვა ცნობები ჯერჯერობით ხელთ არ მაქს. გრიგოლ კოკელაძის ხელნაწერებში შემხვდა ვინმე მ. ვეკუასგან ზუგდიდში ჩანერილი რამდენიმე სიმღერა (ცემვი დო ცემვია, დუღი, ვოდევი, ვოდელა, დიდოუდო ნანინა, კუჩხა ბედინერა, სუფრული, კუნტა ბედინერა). არ არის გამორიცხული, რომ ეს სწორედ ერასტი ხუბულავას მასწავლებლის – მაქსიმე ვეკუას – მიერ შესრულებული ნიმუშები იყოს.

## „ლოტუსი“

პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად, პოლიკარპემ მამის საფლავზე კინიადან საგანგებოდ წამოღებული მიწა მოაპნია.

მარტვილში სწავლისას ერასტის ზედმინევნით აუთვისებია მრავალი საგალობლის სამივე ხმა, მაგრამ, უმეტესად, ბანს ამბობდა. საქართველოს გასაბჭოებამდე იგი ჯიხაშვარის საბენდელიანოს უბნის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის დიაკვნად (კალისტრატე სამუშიას (ცნობით, დეკანოზად) მსახურობდა. იმხანად მღვდლები სამსონ (სიმონ) ანთელავა და მიხა შენგელია ყოფილან. სამსონი ილორში გადასულა, მიხეილ შენგელია კი საბენდელიანოს უბნის ტაძრის უკანასკნელ მღვდლად მოიხსენიება. კომუნისტური რეჟიმის დამკვიდრების წლებში ამ სასულიერო პირების დევნისა და შეურაცხყოფის ფაქტებს ბატონი პოლიკარპე დიდი გულისტკივილით იხსენებს: „კომუნისტებმა დაიბარეს სამსონი და მიხა. უთხრეს: თქვენი დრო და კანონი დაბრუნდა, ანაფორები ჩაიცვით და მოდითო. ბაგი ბენდელიანი თოფით დააყენეს, მღვდლებს ხელში მაკრატლები მისცეს და ერთმანეთისათვის წვერის გაკრეჭა უბრძანეს. ულმერთონი ჯვრებს ესროდნენ – აი, თუ რამე დაგვიშავდაო. სამსონმა არ გააკრეჭინა. თოფიან კაცს ეძგერა, გაიქცა და ღობეს გადაევლო, მაგრამ ანაფორის კალთა ღობეზე წამოედო და მაინც დაიჭირეს... ძალიან ცუდი დრო იყო. კომუნისტებმა ბევრი დააშავეს და მერე რა მოხდა თუ იცი? იმ ბაგი ბენდელიანს ძმა მოუკვდა, შვილმა ცოლი მოკლა, მოკლედ გაუბედურდა ოჯახი. კარგი არაფერი დამართია“.

ჯიხაშვარის საბენდელიანოს უბნის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ერასტი ხუბულავა ძაკა ფიფიასთან, დურუ და უშანგი ბენდელიანებთან ერთად გალობდა. ერასტი მეგობ-

## ო ლ ტ რ უ ლ



რემა შელეგია

რობდა მეგრული სიმღერის კო-  
რიფეებთან – ძუკუ ლოლუასა  
(1877-1924) და რემა შელეგიას-  
თან (1883-1955). ძუკუს და ერას-  
ტის ერთმანეთი ძუკუს ციხი-  
დან გამოსვლის (1903 წ.) შემდეგ  
გაუცვნიათ, როცა ლოტბარს სმე-  
ნა უკვე დაქვეითებული ჰქონდა,  
მაგრამ მიმიკით მაინც იჭერდა  
თურმე შეცდომებს. რემა შელეგია  
კი ბატონ პოლიკარპესაც ახსოვს:  
„გაჭალარავებული ლოტბარი დაა-  
ყენებდა გუნდს ნახევარწრეზე,  
ტონს ჩამოურიგებდა ყველა ხმას,

მერე გვერდით დადგებოდა და მღეროდა, არასდროს არ დირი-  
უორობდა“.

თავის მხრივ, ძუკუ ლოლუა და რემა შელეგია თვალსაჩინო  
მგალობლის, მარტვილის სამგალობლო სკოლის წარმომადგენ-  
ლის – დიმიტრი ჭალაგანიძის (1836-1917) – მოსწავლეები იყვნენ.

რაც შეეხება დიმიტრი ჭალაგანიძეს, ცნობილია მისი გვარის  
გურული წარმომავლობა. მისი ბაბუის მამა მე-18 საუკუნის  
II წარმომავლენი გადმოსახლებულა ჭყონდიდში. თვით დიმიტრი  
ჯერ მამასთან, რომანოზ ჭალაგანიძესთან, დაუფლებია გალო-  
ბას, შემდეგ კი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსთან – გრიგოლ  
დადიანთან სწავლობდა. მასთან ერთად დადიანთან იმყოფე-  
ბოდნენ სრული მგალობლები: ანტონ დუმბაძე, გახაკია ჩი-  
ქოვანი, ალექსანდრე მგელაძე, ძმები კონტრიძეები – მგალო-

## ს ი ლ ტ უ ს



დიმიტრი ჭალაგანიძე და  
ძუკუ ლოლუა, 1915 წ.

ბლები, რომლებმაც ზედმი-  
ნევნით იცოდნენ მთელი  
წლის საგალობელთა  
სამივე ხმა, კანონი-  
კური გალობის  
აწყობის პრინციპე-  
ბი, ძველი ქართული  
სამგალობლო დამწერ-  
ლობა. აქვე შეიძლება  
გავიხსენოთ. 1911-1917 წწ.

მარტვილში გალობის მასწავლებლად  
არტემ ერქომაიშვილსაც უმუშავია.

არტემისთვის გალობა მელქისედექ ნაკაშიძეს უსწავლებია.  
ვფიქრობ, ამ ფაქტების გათვალისწინება გურიისა და სამე-  
გრელოს სამგალობლო-სასიმღერო ტრადიციათა ერთიანობის,  
საგალობლების მსგავსება-განსხვავების კვლევისას აუცილე-  
ბელი იქნება. მით უფრო, რომ სამეგრელოს ეს ერთადერთი  
კათედრა 1882 წლიდან გურიის კათედრასთან გაერთიანებულა.  
იმ პერიოდში გურია-ოდიშის ეპარქიას ცნობილი მღვდელმთა-  
ვარი ალექსანდრე ოქროპირიძე მართავდა, რომელსაც რეზი-  
დენცია მარტვილში ჰქონდა.

გასაპტოების შემდეგ ერასტი ხუბულავა იძულებული გახდა,  
რკინიგზაზე მეისრედ ემუშავა, ერთხანს თურმე რუსულსაც ასწავ-  
ლიდა სკოლაში. მოგვიანებით მან ჯიხაშკარში 45-კაციანი გუნდი  
ჩამოაყალიბა. ირკვევა, რომ ერასტი ზუგდიდის სახერს ქარხანას-  
თან არსებულ გუნდსაც ხელმძღვანელობდა.

## ო ლ ტ რ ა

---



ჯიხაშკარის ანსამბლი.  
ცენტრში ერასტი და პოლიკარპე ხუბულავები

ამ გუნდების რეპერტუარის მცირე ნაწილი 1931 წელს გრიგოლ კოკელაძეს ჩაუწერია. ახალი კუჩი ბეჭინერი გამოქვეყნებულია კრებულში „100 ქართული ხალხური სიმღერა“. სხვა სიმღერების ხელნაწერები თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიისა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივებში ინახება (შედარებამ ცხადყო, რომ მათ შორის სხვაობა არ არის). ესენია: ჯიხაშკარის გუნდის მიერ შესრულებული არიაქა მურა, ვოშვარადა, დილ-დილა და ზუგდიდის სახერხი ქარხნის მუშათა გუნდის მიერ შესრულებული კუნგარა, ნანა სქუა.

პოლიკარპე ხუბულავას თქმით, „ერასტომ რალაც სხვანაირი ნოტები იცოდა – წერტილებით, ხაზებით, ასაწევ-დასაწევი ნიშნებით, ქვედა და ზედა ნაწილებით. ერთხელ ვიღა-

## ს უ ლ ტ ტ უ ს

ცამ სთხოვა და წაიღო“ . აშკარაა, რომ ლოტბარი აქ გალობის ნევმური ან გრაფიკული ჩაწერის წესს გულისხმობს. თუმცა, სამწუხაროდ, ერასტის ეს ხელნაწერები დაკარგულია.

1959 წ. ოთარ ჩიჯავაძეს ექსპედიციაში ხანდაზმული მომ-ლერლისა და მისი ანსამბლის წევრებისაგან საგალობლებიც ჩაუწერია<sup>5</sup>. ამ აუდიომასალის კვალს ვერ მივაგენი და ბატონი ოთარის მიერ შედგენილი სანოტო კრებულის წინასიტყვაობაში მხოლოდ წმიდაოდმერთო მოხვდა. მასზე ქვემოთ კიდევ შევჩერდები. ახლა კი ისევ ბატონ პოლიკარპეს მოვუსმინოთ: „ძალიან ვნანობ, რომ მამისგან მხოლოდ რამდენიმე საგალობელი შევისწავლე, მაგრამ მაშინ გალობა არც შეიძლებოდა და ეს ცოდნა ერასტომ საფლავში წაიღო... მსგავს ვარიანტებს დღეს აღარავინ მღერის. სხვათა შორის, ბერძნული საგალობლებიც იცოდა – ისტოლა და კირიე ელეიისონ<sup>6</sup>. ყმაწვილ პოლიკარპეს გალობა კი მოსწონდა, მაგრამ აკრძალული რომ იყო ტაძარში სიარული, საკუთარ მამასთან ურთიერთობისაც კი ეშინოდა. „მამის – ყოფილი დიაკვნის – გვერდით ვინმეს რომ დავენახეთ შვილები, სირცხვილი იყო“.

ერასტი ხუბულავას ანსამბლის წევრებს სიმღერა რომ მოე-წონებოდათ, ჩაურთავდნენ ფირფიტას და ასმენინებდნენ. რამ-დენჯერმე მიყურადების შემდეგ 12-13 წლის ბიჭმა სამივე ხმა იცოდა და მამის ანსამბლის წევრებისათვის სწავლებაც შეეძლო. თურმე ისეთი გატაცებით უსმენდა მეგრულ და გურულ სიმღერებს, რომ ბევრჯერ ღამეც გაუთენებია. უნდა ითქვას,

<sup>5</sup> ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ: ციალა პაპაშვილი, ლია ხუგაშვილი, მენული თოფურია, ევგენი მაჭავარიანი, კარლო ჩუხრუკიძე, დავით ბალან-ჩივაძე, გურამ შველიძე.

<sup>6</sup> იგულისხმება ბერძნული სიტყვიერი ტექსტის მქონე საგალობლები.

ო ლ ტ რ ი

129. დილ - დილა

ჩამ. გვ. კოკელაძე.

შესრულეთ მ-გის ს-მ-გ-გაბის  
კარის კოლექტურის ექსის  
ერთგულის ხ-ი.

*Modemato*

3<sup>o</sup> - 3<sup>o</sup>

n - გმ რი - რა რი - გა - გა  
ღა - ღა ღა - ღა ღა - ღა ღა - ღა

გრიგოლ კოკელაძის ხელნაწერების ფრაგმენტები

82. ვოშკარალა

ჩამ. გვ. კოკელაძე.

შესრულეთ ს-მ-გ-გაბის უქალ ვ-ლ-ე-  
უ-ნ-ე-თა გ-ე-დ-ე-ს ე-ლ-ე-ს ხ-ი-ს-ე-ს

*Ritardando*

3<sup>o</sup> - 3<sup>o</sup> რი - ღა ღა - ღა  
ღა - ღა ღა - ღა ღა - ღა ღა - ღა

მ - ში გა - ღა ღა - ღა ღა - ღა  
ღა - ღა ღა - ღა ღა - ღა ღა - ღა

მ - ში გა - რა რა - რა რა - რა  
რა - რა რა - რა რა - რა რა - რა

## ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ

Ռոմ մաժինճյուղ գրամբուրդություն մեցրով և սօմճյուղով օժիա-  
տած ոյու հաներունո. პոլուկարձե շմեքեսած ցորուլ սօմճյուղը և  
յսմենգա դա ամ կայտես սասօմճյուր ռեպերտուարու պահածա  
դա ցանսակայտրեծուլ սովզարուլ ամուտաւ ենու. հանաներեծուն  
նասնացա նօմութեա մորու յրտ-յրտու პորզելու ժայռագաւած դա  
ժայռ ժայռու ցարլամ սօմոնութեալու ցարունակյունու ոյու.

Ճախամյարու ցորունու ներբեծու սամեցագոնու ենթալազյունու  
սակելու ոյրունու պահածունուն. մատ մորու ոյզնեն: Շարամյալու, յայտուիլ  
(ալծատ յէյտում), սեցերուն, դյուրու ծենդյունունուն, ոռնա, ծո-  
հիու, հախու դա որեստու սօֆոնազյունու, մմեծու ծերուլազյունու... ուսոնո  
եթորած 3-4 կմ-ս ցագունուն. ցոյքու, ացարսաւ ար դացունուն  
ունուն, ոմունած մնութեալունուն ոյու մատուցու սամեմսրուլուն  
յուրուուրտունուն, րուկուուրտուն.



Այնդուն սեցան ծեցլար դա յունուն ակոնցուն



ძმები სიჭინავები

## „ო ლ ტ ტ უ ს“

სხვათა შორის, ზემოთ ნახსენები სანოტო ხელნაწერები სოფელ ჯიხაშეკარის სხვა შემსრულებელთა, მათ შორის, ძმები სიჭინავების შემოქმედებასაც ასახავს. გრიგოლ კოკელაძეს მათგან დელა, ჩონგურული, მუჭომი ორე კოლუქტივი, ჭარუა კითხირი და მეგრული ჩონგური ჩაუწერია.

„სიჭინავები ოთხი იყვნენ. ესენი ჩონგურს რომ დაიკავებდნენ ხელთ, „დუხავოი არკესტრს“ ბაძავდნენ. თან პირით „ბუ, ბუ-ს“ ამბობდნენ და ერთი ამბავი იყო. ის ჩანაწერი მანახოს ახლა ერთი ვინმემ! თუმცა, მაშინ სად იყო ჩანერა? მეჩონგურეთა ანსამბლი 18 კაცამდე აიყვანეს. ქალებიც ჰყავდათ. ერთი განსაკუთრებით დამამახსოვრდა – სოფია ერქვა. ისე, უნდა გითხრა, რომ ჩონგურს ქალის ხმა ძალიან უხდება. არის ისეთი სიმღერები, ქალი რომ აუცილებელია. ამ ბოლო დროს არ უყვართ ქალები.

სიჭინავები თვითნასწავლნი იყვნენ, როგორც მე ვარ – ისე. ძირითადად, სასიმღერო ჰანგებს უკრავდნენ, მღეროდნენ. იონა სიჭინავა კოჭლი, მარა ძალიან მცოდნე კაცი იყო. საბჭოს თავმჯდომარედაც მუშაობდა. ახლა „ოდოიაში“ რომაა ორესტი, იმათი შთამომავალია“, – ჰყვება ლოტბარი.

ერასტი ხუბულავასთან მეგობრობდნენ: ნოკო ხურცია, კირილე პაჭკორია, სოლომონ მარკოზია და სხვები. იცოდნენ, როდის იყო თავისუფალი, მასთან რკინიგზაზე მიდიოდნენ და დიდ დროს სიმღერაში ატარებდნენ. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ახალ სიმღერებს უზიარებდნენ, ძველ რეპერტუარს ხვეწდნენ, ვარიანტებს თხზავდნენ.

აშკარაა, რომ პატარა პოლიკარპე იმთავითვე მუსიკალურ გარემოში იზრდებოდა, ღვთისა და წინაპრებისგან

## ო ლ ტ რ ა

---

მომადლებული ნიჭის წყალობით, სიმღერებს ძალიან ადვილად ითვისებდა. ჭაბუკისათვის მამის მეგობარ მომღერლებთან ურთიერთობა საუკეთესო გამოცდილება იყო. ერთხელ ერასტის ხობში წაუყვანია, სადაც „ძალიან ლამაზი კაცი“ – ნოკო ხურცია – შეხვედრიათ. ნოკოსა და მამასთან ერთად პოლიკარპეს მადოჩიმი არაბას შუა ხმა უთქვამს. მერე კიდევ ერთი სიმღერა დაუღილინებიათ, რომლის დასრულებისთან ნავე აღტაცებულ ნოკოს შეუქია – ამისგან ნამდვილად კარგი მომღერალი დადგებაო.

პოლიკარპეს განსაკუთრებული მონაცემები სხვებმაც შენიშნეს. ჯიხაშპარის შვიდწლიან სკოლაში თანაკლასელ დათუშა ადონიასთან ერთად მღერამ კლასის დამრიგებლის – ქეთევან ცხონდიას<sup>1</sup> – ყურადღება მიიქცია. მან ბავშვები სკოლის დირექტორთან (თავის მეუღლესთან) შეიყვანა და ამღერა. დაუჯერებელია, მაგრამ ასეა: დირექტორს მეორეკლასელი პოლიკარპესათვის გუნდის ჩამოყალიბება დაუვალებია. მართლაც, პოლიკარპეს 30-მდე ბავშვისათვის უსწავლე-



ნოკო ხურცია

<sup>1</sup> სახელოვანი ფეხბურთელის – ბორის პაიჭაძის დედა.

## ო ლ ო ტ უ ლ

ბია მამისაგან შეთვისებული რამდენიმე წიმუში, მათ შორის ქაჯური (ქაჯაიების მგზავრული), ჩელას ძველი – აკობიების ვარიანტი, რომელსაც მისამლერად „ავავა დო შავავა“ აქვს. პოლიკარპე ხუბულავა, მუსიკალური მონაცემებისა და ბავშვობა-შივე გამომჟღავნებული სალოტბარო უნარ-ჩვევების წყალობით, მიულიათ მეზობელი სოფლის – ყულიშკარის – სკოლის მერვე კლასშიც. თურმე ადგილები შევსებული ყოფილა და, როცა გაუგიათ, გუნდის ჩამოყალიბება შეუძლიაო, მაშინვე დათანხმებულან.



ქიონია ბარამია

პოლიკარპემ ჩონგურზე დაკვრა მშობლებისაგან ისწავლა. სხვა პედაგოგთაგან კი ბეგლარ აკობიას (1881-1947) და ქიონია ბარამია-აკობიას (1892-1964) ასახელებს: „ქიონიას ძალიან მოწონდა ჩემი დაკვრა. ფეხით ან ურმით მიმავალი მათ სახლთან

## ო ლ ტ უ რ

რომ ჩავიცლიდი, გამაჩერებდა და დაკვრას მთხოვდა. დიდხანს არ მიშვებდა. ვინ იცის, რამდენჯერ დამგვიანებია ჯიხაშკარში ჩასვლა. ბეგლარის მამას – პავლე აკობიას ბევრი სიმღერის ტექსტი აქვს შეთხზული. ხომ იცი, დიდოუ ნანას, მირე საცოდალის, მესიშვარდის ტექსტებიც მისია“.

პოლიკარპე ხუბულავამ სკოლა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე დაამთავრა. ამ დროს ახალგაზრდა შემსრულებელი ერასტის ანსამბლში მღეროდა. მინადორას და მის ვაჟს დიზინტერია დაემართათ. „ექიმმა სამი აბი მოგვცა. დედამ შემინახა თავისიც და მე რომ ოთხი დავლიე, გადავრჩი. დედა გარდა-იცვალა“. დედის ავადმყოფობის გამო პოლიკარპე დროებით გაათავისუფლეს ჯარიდან. მისი გარდაცვალების შემდეგ კი (1944 წელს) მაინც გაიწვიეს. „ეშელონი რომ ჩამოდგა, მარტო ქართველები გაგვიყვანეს და ქართული დივიზია დაარსდა ბათუმში.

ბათუმის საჯარისო ნაწილში ცნობილი მომღერალი (ბანი) და ლოტბარი – შერმადინ ჭკუასელი (1904-1978) გავიცანი<sup>2</sup>. მოენონა ჩემი ხმა. გურული სიმღერაც არ მეშლებოდა, ბავშვობიდან ვიცოდი“, – თავს იწონებს ლოტბარი. წელიწად-ნახევარში შერმადინმა თავისი 100-კაციანი გუნდი პოლიკარპეს გადააბარა.



შერმადინ ჭკუასელი

<sup>2</sup> შერმადინ ჭკუასელი „ერისიონის“ ხელმძღვანელის – ჯემალ ჭკუასელის მამა იყო.

## ს ი ლ ტ რ უ ს

---

„ბარცხანაში ვიდექით. სასადილოსკენ მიმავალ გზაზე თუ უსიმღეროდ ჩავივლიდით, სამჯერ მოგვაბრუნებდნენ... ძირითადად საბჭოურ სიმღერებს ვმღეროდით (ორი სიტყვა, ძლევის მარში, სიმღერა სტალინზე), რუსულ სიმღერებსაც ვასრულებდით“, – იგონებს პოლიკარპე და ხაზგასმით აღნიშნავს: გურული სიმღერის სიყვარული შერმადინ ჭკუასელთან ურთიერთობით განუმტკიცდა.

1948 წელს ჯარიდან ზუგდიდში დაბრუნებული პოლიკარპე ხუბულავა ჯიხაშვარის გუნდის ხელმძღვანელად ინიშნება, რომელიც იმ დროისათვის 80-85 წევრს აერთიანებდა. ამავე წელს ქმნის ოვადს. მისი მეუღლე – ჩხოროწყუელი ოლდა ვეკუა – ალარაა ცოცხალი. ერთი ვაჟი შეეძინათ. როგორც ლოტბარი ამბობს, „მაინცდამაინც არ მღერის“. აქვე ხუმრობს, რომ დემობილიზაციის შემდეგ პენსია არ მისცეს; „რატომ არ ხარ დაჭრილიო? ვინც დაიჭრა, ის იქ დარჩა-მეთქი, – ვუპასუხე და ამაზე გულიანად იცინეს. მაინცდამაინც უნდა დავჭრილიყავი, კაცო?!"

ამ პერიოდში პოლიკარპე ხუბულავა ხელმძღვანელობს ჩხოროწყუს სარაიონო გუნდს, აგრეთვე, ლესიჭინეს, ქვედა ჩხოროწყუს, კირცხის, ხაბუმეს, სარაქონის, მუხურის გუნდებს, წალენჯიხის ავტოსატრანსპორტო კოლონის გუნდს. შემდეგ მას ვხედავთ გეგეჭკორის (მარტვილის) რაიონის სოფელ ალერტკარში და ზუგდიდის რაიონის სოფლებში: ბალმარანი, ოდიში, კახათი, ნაწულუკუ, ახალი აბასთუმანი.

1950 წელს პოლიკარპე ხუბულავა სოფელ ყულიშვარის კლუბის გამგედ იწყებს მუშაობას და აყალიბებს 45-წევრიან შერეულ გუნდს. 1954 წლიდან ჯიხაშვარის კლუბის გამგედ გა-

## ო უ ლ ტ რ უ ს

დადის და აგრძელებს ყულიშკარის გუნდის ხელმძღვანელობას. პარალელურად მუშაობს სოფელ ხაბუმეს ანსამბლთან და ქვე-მო ჩხოროწყუს საბჭოთა მეურნეობის გუნდსაც ამეცადინებს.

„50-იან წლებში ჩხოროწყუში ვმუშაობდი. მაშინ ლესი-ჭინეს მეურნეობის გუნდს რაჟდენ გუმბა ხელმძღვანელობდა. რაჟდენი ქართველების სიძე გახლდათ, ლესიჭინელი მეუღლე ჰყავდა. სიმპათიური, ნიჭიერი კაცი იყო. ჩემი აზრით, სოხუმის სახელმწიფო გუნდი მასთან უფრო კარგად ჟღერდა, ვიდრე ვასილ ცარგუშთან...“

ერთხელ დათვალიერებაზე თბილისიდან ჩამოვიდნენ კირილე პაჭკორია, მიშა ჩირინაშვილი, კინი გეგეჭკორი. რა-ჟდენი და კირილე კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. დათვა-ლიერების შემდეგ შევიკრიბეთ, ბანკეტი გვქონდა – გამარ-ჯვებულები ვიყავით: მე ჩემი გუნდით და რაჟდენის გუნდიც. კარგად მოვილხინეთ, ვიმღერეთ, ჩონგურიც ავაჟღერეთ. კი-ნიც შემოგვიერთდა – უიურის წევრი არ იყო, ისე ჩამოვიდა. საერთოდ, აფხაზებთან კარგი ურთიერთობა გვქონდა, ერთ-მანეთის წყენას ვერიდებოდით. ბევრ საქმეში ერთად ვიყავით. აფხაზური ენა არ ვიცი, თუმცა ვმღერი რამდენიმე აფხაზურ სიმღერას – კლდის სიმღერას, დაჭრილის სიმღერას, საჩონგუ-რო თანხლებიან ნიმუშებსაც. თურქული სიმღერებიც ვიცი... როცა წალენჯიხაში ვმუშაობდი, აფხაზური სიმღერების შესას-წავლად გუნდში კონსტანტინე შენგელია მოვიწვიეთ. კოსტია განათლებული კაცი იყო, ნოტებიც იცოდა.

გალის ანსამბლს აკაკი ხარებავა (1908-1978) ხელმძღვა-ნელობდა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი – ვეზდენ ოკუ-ჯავა, კარგი ლოტბარი, ნიჭიერი კაცი. მაშინ გალში კარგი მომ-

## ს უ ლ ტ უ ს

ღერლები იყვნენ: იოსებ გუნავა, შალ-ვა ხაბურზანია. აფხაზურებს კარგად მღეროდა კოჭიკო ჯგუბურია. მშვე-ნიერი მეორე ხმა ჰქონდა ნიკო მარკე-რიას. ბაბილინა მარლანია არაჩვეუ-ლებრივი მეჩონგურე იყო. ქართვე-ლებს და აფხაზებს შეკრების ტრადი-ცია გვეონდა, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ლხინშიც და გაჭირვება-შიც ერთად ვიყავით“...



აკაკი ხარებავა

ცოტა ხნის შემდეგ პოლიკარპე ხუბულავა წალენჯიხის რაიონის სოფლებშიც იწყებს მუშაო-ბას. ლიას, ობუჯის, ჯვარის, ფახულანის მომღერლები მისი ხელმძღვანელობით ასრულებენ მეგრული ფოლკლორის მარ-გალიტებს. 70-იანი წლების ბოლოს ლოტბარი წალენჯიხის რაიონში უხუცესთა ანსამბლს ქმნის. ხალხური შემოქმედების სახლის იმდროინდელი ხელმძღვანელი, კომპოზიტორი მიხეილ ჩირინაშვილი ხუმრობდა კიდეც: გამაგებინეთ, სადაურია ეს კაცი, სადაც მივედი, ყველგან პოლიკარპე დამხვდაო.

„ყველგან სხვადასხვა რეპერტუარი მქონდა. ხელფასი პა-ტარა იყო, მაგრამ სანამ გუნდს კარგად არ მოვამზადებდი, ფულს არ ვიღებდი. მე და მიშა ჩირინაშვილი ძალიან დავმეგობ-რდით. ერთად დავიწყეთ მუშაობა პირველ სკოლაში. მე მეჩონ-გურეთა ანსამბლი გავაკეთე. თბილისში კურსებზე რომ ჩამოვ-დიოდი, ყოველთვის მაფასებდა. კარგი კაცი იყო,“ – გულთბი-ლად საუბრობს.

1954 წელს მშობლიურ სოფელში სიმღერისა და ცეკვის

## ო ლ ტ რ უ ლ

ანსამბლს უდგება სათავეში. ქორეოგრაფები ნოდარ ფაზავა, დურუ ჯოჯუა და ოზურგეთელი ავთანდილ გოლიაძე არიან.


როგორც ვხედავთ, ლოტბარი მთელი სამეგრელოს მასშტაბით თავდაუზოგავად და ნაყოფიერად მოღვაწეობს. მისი აღზრდილები, გუნდის წევრები დღესაც დიდი სიყვარულით საუბრობენ უკეთილშობილეს პიროვნებაზე, რომელმაც სიმღერასთან ერთად ცხოვრებას, მეგობრობას, სამშობლოს სიყვარულს აზიარა. ნუნუ ხაბურზანია (დაბ. 1948 წ.) იგონებს: „ბატონ პოლიკარპესთან სკოლაშიც ვმღეროდი და კოლმეურნეობის გუნდშიც. ხშირად დამწყები ვიყავი. ჩემი ძმები – გედევანი და ნუგზარიც მღეროდნენ. ძალიან ადვილად რომ ვსწავლობდით, სულ უკვირდა. თქვენ იცოდითო ეს სიმღერა? – გვეკითხებოდა. ნუგზარი ჩოხა-ახალუხს ახლაც საპატიოდ ინახავს... ოლიმპიადები თეატრის შენობაში ტარდებოდა. შემდეგ დიდი სუფრა იშლებოდა და, დიდსა თუ პატარას, ერთად გვსვამდნენ. მეგრულ სიმღერებთან ერთად საქართველოს სხვა კუთხეების ნიმუშებსაც ვასრულებდით. პოლიკარპე ძალიან მამაშვილური და თბილი კაცია. არ მახსოვს, ვინმეს მასზე ცუდი ეთქვას. „ბაბა, სქუას“ მეტი არაფერი გამიგია მისგან. მამა არ მყავდა და ამ სიტყვებს განსაკუთრებულად აღვიქვამდი. ჩანს, მისგან ვგრძნობდი მამობრივ სითბოს“.

1960-იანი წლების დასაწყისში თბილისში, ოპერის თეატრში ხალხური ტრიოების კონკურსი ჩატარდა. სამეგრელო პოლიკარპე ხუბულავამ (ზედა ხმა), იოსებ გუნავამ (ბანი) და შალვა ხაბურზანიამ (შუა ხმა) წარადგინეს.<sup>3</sup> ერთხელ მუშტაი-

<sup>3</sup> ერთ-ერთი შეხვედრისას, ბატონმა პოლიკარპემ შალვა ხაბურზანიას ნაცვლად აქ აკაკი ხარებავა დაასახელა (აკაკი ზუგდიდელი ყოფილა, მერე გადასულა გალში).

## ს უ ლ ტ უ ლ

დის ბალში იყო კონცერტი. აკაკი ხარებავა ბანს ამბობდა, პოლიკარპე მეორეს და შალვა ხაბურზანია პირველს. აკაკის რაღაც შეეძალა, აერია თურმე, მაგრამ ბატონი პოლიკარპე ხან ბანზე გადადიოდა, ხან მეორეს ამბობდა. სადაც გაუჭირდებოდათ, იქით გადახტებოდა ხმით. ამას ისე ოსტატურად აკეთებდა, რომ სიმღერა არ ჩაშლილა. დამთავრებისას კი უთქვამთ, – პოლიკარპემ გადაგარჩინათო.



არტემ ერქომაიშვილი

„იოსებ გუნავა პატარა ტანის, აწეპილულვაშიანი კაცი იყო. ისეთ ბანს იტყოდა, ისე დაახვევდა, გურულიც ვერ იტყვის. ასეთი ბანი ცხოვრებაში არ გამიგონია. 40-იან წლებში ეგ და შალვა ხაბურზანია სახლში დადიოდნენ ჩემთან. მთელი ღამე ვმღეროდით... ჰოდა, სამი კაცის შეჯიბრზე ფაცრა ვიმღერეთ, ერქომაიშვილებმა კი მე – რუსთველი. ორივე გადაიცა საკავშირო ტრანსლიაციით რადიოში. სწორედ აქ შევხვდი პირველად ერქომაიშვილებს. მათ მოსმენას არაფერი ჯობდა. ჩვენი ურთიერთობა შემდეგშიც გაგრძელდა. არტემთან მაკვანეთშიც ჩავდიოდი... ისე, კარგ პარტნიორს რა სჯობს?! ახლა რომ დაიარო, ვერ იპოვი ასეთ კაცს“.

1974 წ. ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის დრამატული თეატრის დირექტორ ალექსანდრე (საშა) ეგუჭიას

## ო ლ ტ რ უ ლ

თხოვნით, პოლიკარპე ხუბულავა ანსამბლ „ოდოიას“ აყალი-ბებს (ბატონი პოლიკარპე ყოველთვის ხაზს უსვამს იმას, რომ ანსამბლის სახელიც ეგუტიას მოფიქრებულია). ლოტბარმა ისეთ შემსრულებლებს მოუყარა თავი, რომლებსაც ჩონგურზე დაკვრაც შეეძლოთ. „ოდოიას“ პირველ თაობაში მღეროდნენ: დავით ჯოჯუა, კალისტრატე მესხია, გერმანე ფაფავა, უორა ხასია, იმედი ბერაია, ვანო და გიორგი (ჟორჟი) ძაძუები, სერგო ჯიშკარიანი, გენო ჯანაშია, ნაპოლეონ ძანძავა. რეპერტუარი ძირითადად მშობლიური კუთხის ნიმუშებს მოიცავდა.



ანსამბლ „ოდოიას“ პირველი თაობა

იმხანად პოლიკარპე ხუბულავა მეგობრობდა ცნობილ მომლერალ დომენტი ქარჩავასთან (1900-1979) და ხშირად ჩა-დიოდა მასთან გურიაში. დომენტის ძალიან უხაროდა „გრძელ-ცხვირას“ (როგორც თვითონ ამბობს) სტუმრობა. ლელა ურუ-შაძესთან ინტერვიუში ბატონი პოლიკარპე გულისტკივილით იხსენებს: „დომენტიმ მომასმენინა გურული სიმღერა მწვანესა

## ლ ტ ე ტ უ ს

და უჭუდოსა. მე ვუთხარი: მაგი მიყორს ფაცხადან იქნება გა-  
დაკეთებული-მეთქი. დომენტი არ დამეთანხმა და ამაზე ვიკა-  
მათეთ. ერთ თვეში გარდაიცვალა და დღემდე ვერ მომინელე-  
ბია, რატომ შევეკამათე... ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. მის  
დაკრძალვაზე სამი კაცით დამიძახეს. ისე, მეძახდნენ ხოლმე  
ხშირად, შევარდნაძეც მიბარებდა სამლერად“.



დომენტი ქარჩავა

1977 წელს ხმის ჩამ-  
ნერი სტუდიის მიწვე-  
ვით, თუმცალა საკუთა-  
რი ხარჯით, ანსამბლი  
„ოდოია“ მოსკოვს გაემ-  
გზავრა, სადაც დიდი  
მოწონება დაიმსახურა.  
კონცერტი კრემლის  
სვეტებიან დარბაზშიც  
გამართეს. ამ ტურნეს  
80-იანი წლების დასაწ-  
ყისში მოჰყვა მოსკოვე-

ლი ფოლკლორისტის – ედუარდ ალექსეევის – სტუმრობა,  
რომელმაც „ოდოიას“ რეპერტუარი ჩაიწერა და პატონი პო-  
ლიკარპე სსრკ კომპოზიტორთა კავშირის ფოლკლორულ კომი-  
სიაში მიიწვია. ეს უნიკალური ჩანაწერები, რომლებშიც პო-  
ლიკარპე ხუბულავა სამივე ხმას მხოლოდ თვითონ ასრულებს,  
დღესაც იქ უნდა ინახებოდეს, მაგრამ შექმნილი ვითარების  
გამო, ხელმიუნვდომელია (პატონი პოლიკარპეს თქმით, ამ ჩა-  
ნაწერებთან დაკავშირებული რაღაც მასალა ან, შესაძლოა,  
თვით ჩანაწერები მოსკოვიდან ჩამოსულ სტუმარს მისთვის

## ო ლ ო ტ უ რ

დადიანების მუზეუმში დაუტოვებია)<sup>4</sup>. ოკუვევა, რომ მოსკოველ უურნალისტ მიხაილოვს გაზეთში „Советская культура“ ბატონი პოლიკარპეს შესახებ წერილიც გამოუქვეყნებია (სამწუხაროდ, მისი მოპოვება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა)...

„სამი ხმის შესრულება ჩემთვის არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. თუმცა, ბევრი მუსიკოსისათვის ეს გასაკვირი აღმოჩნდა. სამივე ხმა თუ არ იცი, სხვებს როგორ უნდა ას-ნავლო?“ – უკვირს ლოტბარს. „ქართულ სიმღერაში მთავარი შუა ხმაა, მაგრამ პირველი, მეორე, მესამე – ჩემთვის ერთია. თუ ქალებს ვემღერები, ბანს ვიტყვი. ისე უფრო მეტად შუა ხმა მეხერხება. ადრე თურმე არტემს ჩაუწერია ასე“. მარ-თლაც, პოლიკარპე ხუბულავა არტემ ერქომაიშვილის შემდეგ მეორე გახლავთ, რომელმაც ამგვარი – კომბინირებული წესით დაგვიტოვა ქართული ტრადიციული მუსიკის ნიმუშები. მოგვი-ანებით, დაცალკევებული (დაწინაურებული) ხმებით ჩაწერილი სიმღერები საქართველოშიც გამოიცა. ანზორ ერქომაიშვი-ლის ინიციატივით, ჯერ 1980-იანი წლების დასაწყისში, შემ-დეგ 2001 წელს და ბოლოს 2005 წელს მოხერხდა „ოდოიას“ პირველი და მეორე თაობის წევრების მიერ შესრულებული სიმღერების ასეთნაირად ფიქსირება (ხმის რეჟისორი მიხეილ კილოსანიძე). მხედველობაში მაქვს ქართული ხალხური სიმღე-რის საერთაშორისო ცენტრისა და საქველმოქმედო ფონდ „ხო-ბის“ მიერ მომზადებული სასწავლო დისკები და აუდიოდანარ-თიანი სანოტო კრებული. სამდისკიანი კომპლექტი 19 ნიმუშს შეიცავს. მათ შორისაა: ვახტანგური, სესია, ცოროფა, ჩელა,

<sup>4</sup> მუზეუმში მიმდინარე საარქივო სამუშაოების გამო, მათი მოძიება ჯერჯე-რობით ვერ შევძელო.

## ს ი ლ ტ რ ი

---

ოჩებევები, სი ქოული, ბატა, თუთა ახალი, შოუ ნანა, სიმღერა სამეცნიერო ბეჭდები, დიდავორი ნანა, ჩეიზ ტორონბეგი... აქ პოლიკარპე ხუბულავასთან ერთად ვანო და გიორგი ძაძუები, გერმანე ფა- უავა, იმედი ბერაია, ვანო და გენო ჯანაშიები, ხუტა ქელბახ- იანი, თენგიზ კვარაცხელია და ჯოტო უბილავა მღერიან.

ოთხდისკიანი სანოტო კრებული, რომელიც ცნობილი ქარ- თველი ეთნომუსიკოლოგის კუკური ჭოხონელიძის ხსოვნას მიეძღვნა, 2005 წელს გამოქვეყნდა. მასში მეგრული სასიმ- ღერო ფოლკლორის 24 მარგალიტია წარმოდგენილი. ზემოთ ჩამოთვლილი ნიმუშების გარდა აქ შეხვდებით: აკა სირუქიშოს, მოლე ჩიტი გილახეს, ვოჯანუდი ჩეიზ ჯარვეალს, მესიში ვარ- დის, მეურემეს, ჩეინ ქანას, მი რე საცოდალის, ო, და-ს ვარი- ანტებს. მომლერლებს კი ორესტ სიჭინავა, ვახტანგ გოგილავა და დათო დარასელია ემატებიან.

1990-იანი წლებიდან ბატონი პოლიკარპე ევროპის ქვეყ- ნების მსმენელთა წინაშეც გამოდის: წალენჯიხის რაიონის სოფელ ზედა ეწერის გუნდი უნგრეთს სტუმრობს; ახალი აბას- თუმნის ანსამბლი კი – ჩეხეთსა და პოლონეთს. 2001 წლის გაზაფხულზე პოლიკარპე ხუბულავას პარიზის ქართული ან- სამბლის „მარანის“ წევრები, სიმღერების სწავლების მიზნით, ხანგრძლივად იწვევენ. ლექცია-კონცერტების გარდა ლოტ- ბარი სცენაზე „მარანთან“ ერთადაც მღერის. პარიზის ცნობილ დარბაზ „ოლიმპიაში“ ამ ანსამბლის ხელმძღვანელად ბატონ პო- ლიკარპეს აცხადებენ. მსმენელი დიდი სითბოთი და ოვაციებით ხვდება ქართველ ლოტბარს. ჩონგურზე დამღერებული ჩელას შემდეგ დიდხანს აღარ უშვებდნენ სცენიდან. „ჩელას სიმები რომ ჩამოვკარი, ისეთმა ტაშმა იგრიალა, შემეშინდა გული არ

## ო ლ ტ რ ა




პოლიკარპე ხუბულავა, ანსამბლ „მარანის“ წევრები:  
ბერტრან ლამბოლეზი და ლორან სტეფანი

წამივიდეს-მეთქი“. ქართველ ლოტბარს ძალიან მოწონებია ბასკური სიმღერები, იტალიის კაპელა და საფინალო სანტა ლურია. აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს პოლიკარპე ხუბულავას მხატვრული გემოვნების ერთგვარი წინააღმდეგობრიობა. მისი, როგორც ხელმძღვანელის და როგორც შემსრულებლის ესთეტიკური იდეალი რამდენადმე განსხვავებულია. დიდი საშემსრულებლო კოლექტივებისადმი, პომპეზური, ჰიმნური ჟღერადობისადმი ლოტბარის განსაკუთრებული სიყვარული (რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სიამოვნებით უსმენს სამების საკათედრო ტაძრის დიდ გუნდს) უცნაურად ერწყმის იმპროვიზაციის, ცვლილების შეტანის დაუოკებელ სურვილს, რომელიც მხოლოდ ტრადიციულ, მცირე შემადგენლობის ანსამბლსა ან ტრიოში მიიღწევა. „დიდი გუნდი იმიტომაა კარგი, რომ სხვაგვარად ჟღერს. საბჭოთა კავშირის დროს 40 კაც-

## ს ი ლ ტ უ ს

ზე ნაკლებნევრიანი გუნდი არ მყოლია. „ოდოიაში“ უმეტესად თითო პირველ-მეორე მყავდა. პატარა ანსამბლს სხვა გემო აქვს. სამ კაცთან კი – გარკვეული ხარ. აქ რომ წამოკრავ, იმას დიდ გუნდში ვერ გააკეთებ“, – აღნიშნავს ლოტბარი.



პოლიკარპე ხუბულავა პარიზში

პარიზულ ტურნეს რამდენიმე კურიოზიც ახლდა, რომელსაც ბატონი პოლიკარპე საკმაოდ ხშირად და ყოველ-თვის ჩვეული იუმორით ჰყვება: „მუზეუმები მიყვარს-მეტქი, წამომცდა და სულ იქ დამატარებდნენ... ერთხელაც მომადგა მძღოლი ორი „კასკით“ და მოტოციკლეტით. გულში ვიფიქრე, ხალხი რას იტყვის – პოლიკარპე საფრანგეთში მოტოციკლეტმა იმსხვერპლაო, მაგრამ უარი ვერ ვაკადრე, შემოვუჯექი და სუნთქვაშეკრულმა მოვიარე ქუჩები. იქ თოვლი არ იცის და მაინცდამაინც იმ დღეს არ მოთოვა?! ცოცხალი თუ გადავრჩე-ბოდი, არ მეგონა... ეიფელის კოშკზეც ავედი. რესტორნების

## ო უ ლ ტ რ უ

მენიუში კი ლოკოინებსა და ბაყაყებს ვერაფრით შევეგუე. ეს რა საჭმელია?! ბრინჯის ჯოხები დოლის დასაკრავები მეგონა“.

2005 წელს იაპონიაში გაიმართა ადამიანის ჯანმრთელობისა და აქტიური დღეგრძელობისადმი მიძღვნილი გერონტოლოგიური ფორუმი. საქართველოში საგანგებოდ შეარჩიეს ოთხმოც წელს გადაცილებული ექვსი მომღერალი. ბატონი პოლიკარპეს დამსახურებაა, რომ სხვადასხვა კუთხის უხუცესმა შემსრულებლებმა, რომლებსაც ერთად არასოდეს უმღერიათ, იაპონელები ქართული სიმღერის მაღლს აზიარეს და დიდი მოწონება დაიმსახურეს. რამდენიმე წლის შემდეგ პოლიკარპე ხუბულავა ქართულ-იაპონური დღეების ფარგლებში მეორედაც ესტუმრა „ამომავალი მზის ქვეყანას“.

„ოდოიას“ წევრის ნოდარ ჩხვიმიანის ერთ წერილში ასეთ რამეს წავანყდი: თურმე ბატონი პოლიკარპე ერთი თვის მანძილზე ამეცადინებდა ამერიკიდან ჩამოსულ მომღერალს – კარლ ლინიკს, რომელსაც ბოლოს ლოტბარისათვის გასამრჯელოს გადახდა გადაუწყვეტია. პოლიკარპეს უარი უთქვამს და იქით გადაუხდია მადლობა, ქართული სიმღერები რომ ისწავლე და მთელ მსოფლიოში პროპაგანდას უწევ, მე ფულს არ გამოგართმევო.

2007 წელს, ხობის VII საერთაშორისო ფესტივალისათვის, პოლიკარპე ხუბულავას ანსამბლის კიდევ ერთი ჩანაწერი გამოიცა. უკვე ჩამოთვლილ ზოგიერთ შემსრულებელთან ერთად აქ აკაკი კვარაცხელიას, შოთა ბიგვავას, შალვა ხაბურზანიას, ვლადიმერ სალიას და ნუცა აკობიას ხმებსაც მოისმენთ. სეან ოროვა, გეფშვათ ღვინი ხარათია, რია, ოყონური, ჩქინ ქიანა, ჩქიმჩონგური – აი, იმ ნიმუშების არასრული ნუსხა,

## ო ლ ო ტ უ რ

---

რომლებიც ტრადიციული მეგრული სასიმღერო სტილის სურნელს გვაგრძნობინებს.

პოლიკარპე ხუბულავას მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ქართველ შემსრულებლებსა და ლოტბარებთან: ივანე ჩომახიასთან, ვლადიმერ (ლუდი) ბაბილუასთან, პორფილე გაბელიასთან, იროდი კალანდიასთან, ნოკო ჩაჩიბაიასთან, ნიკოლოზ ხვიტიასთან, დათიკო ფაცაციასთან, ლადიკო ერემაძესთან, ორდენ ლეთანძესთან, სოფიო და ერასტო ბერულავებთან, ლონგინოზ (ლონგი) და ვახტანგ (ჭუტული) მიმინშვილებთან, ვლადიმერ და ოთარ ბერძენიშვილებთან, ბენია მიქაძესთან, ვანო მჭედლიშვილთან, ჯოკია მეშველიანთან, მიხეილ და ანდრო სიმაშვილებთან, ისლამ ფილფანთან. იგი ფოლკლორული ანსამბლების („ანჩისხატის“, „ფესვების“, „ბასიანის“, „შავნაბადის“, „სახიობის“) უფროსი მრჩეველი და შეუცვლელი მასწავლებელია, ხშირად იწვევენ თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რაიონის ანსამბლებიც. პოლიკარპე ხუბულავა ერთხანს სიმღერას თბილისის 28-ე სამუსიკო სკოლაშიც ასწავლიდა და სამოქალაქო დაპირისპირების გამო მიატოვა. „ამ დროს გავიცანი მალხაზ ერქვანიძე. ანზორიც ძალიან მიწყობდა ხელს. მან უთხრა მინისტრს, პოლიკარპეს მანქანა სჭირდებაო. ვალერი ასათიანი შემპირდა, – ერთი მანქანა თუ მოვა, თქვენი იქნებაო, – და, მართლაც, სახლში რომ ჩავედი, დეპეშა მივიღე“.

ტრადიციული რეპერტუარის (კუნტა ბედინერა, ზესკვიუჩა, ჩელა, არამი დო შარიქა, მაგლონია, ძაბრალე და ა. შ.) საკუთარი ვარიანტების გარდა, ბატონ პოლიკარპეს რამდენიმე საავტორო სიმღერაც აქვს. მათ შორისაა: *მა მურჯ მო-*

## ო ლ ტ რ ა

ჭირსუნი, სატრფიალო, ია-ვარდი გაშლილ პირი, სიმღერა შოთა რუსთაველ ზე, სიმღერა ნოკო ხურცია ზე, სიმღერა ძუკუ ლოლუა ზე, კოლია, რკინაშ ხოჯი, სიმღერა კოსმონავტებზე, სიმღერა ყულიშვარზე, სიმღერა ჩაის საკრეფ მანქანა ზე, აჯაფსანდალი (როგორც თვითონ ამბობს, ეს სახელწოდება ტექსტში გამოყენებული მეგრულ-ქართული და რუსული სიტყვების გამო დაარქვა).

1979-1987 წწ. პოლიკარპე ხუბულავა რამდენჯერმე გამოვიდა ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ ორგანიზებულ ფოლკლორულ სალამოებზე. ეს მასალა ფირზეც აღბეჭდილია<sup>5</sup>.

1986 წელს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ეთერში გავიდა ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქციის მიერ მომზადებული გადაცემა „ერთი სოფლის თვითმოქმედება – სოფელი ჯიხასკარი“, რომლის მთავარი გმირი პოლიკარპე ხუბულავა გახლავთ. ფილმში ასახულია მისი გუნდისა და სოფლის ქორეოგრაფიული ანსამბლის კონცერტი. მართალია, ნიმუშების დიდ ნაწილს საბჭოური იდეოლოგიის კვალი ატყვია, რაც რეპერტუარში, გუნდის შერეულ წყობაში, საკრავების რაოდენობაში, დირიჟორობასა და სხვა დეტალებში იჩენს თავს, მაგრამ ყურადღებას იქცევს ძაბრალეს დასკვნით ნაწილში ბატონი პოლიკარპეს ცეკვა (მე, პირადად, ეს არ მინახავს) და საჩინგურო სიმღერების დირიჟორობის უჩვეულო ხერხი: შემსრულებელთა დიდ კოლექტივს მაყურებელთან ზურგით მდგომი ხელმძღვანელი ჩონგურზე დაკვრით წარმართავს.

პოლიკარპე ხუბულავას შემოქმედებას საგანგებო გადაცემა მიუძღვნა ანზორ ერქომაიშვილმა. 80-იანი წლების ბოლოს

<sup>5</sup> ამ ინფორმაციის შეხსენებისათვის მადლობას ვუხდი ქალბატონ ეთერ თა-თარაიძეს.

## „

საქართველოს რადიოს პირველმა არხმა პოლიკარპე ხუბუ-ლავას გუნდების საარქივო ჩანაწერები მოამზადა. ფოლკლო-რისტი, ხმის ოპერატორი ნუკრი უორდანია გვიამბობს: „რა-დიომ ახალი აპარატურა (PTC) მიიღო და სულ მის ათვისებასა და ძიებაში ვიყავით. მახსოვს, ახალფეხადგმული „ანჩისხატის“ ბიჭების ჩაწერაზე შიო მღვიმელის მონასტერში სამი დღე ვწვალობდი (აკუსტიკის გამო, პოზიციას ვეძებდი – ხმა რომ არ დატრიალებულიყო). პოლიკარპე ხუბულავას გუნდების ჩა-საწერად ზუგდიდში გავემგზავრეთ. მასალა არა გადაცემისათ-ვის, არამედ საფონდოდ გვჭირდებოდა. სამუშაოდ თეატრის შენობა შევარჩიეთ. რამდენიმე ადამიანი ვიყავით, მათ შორის – ნუნუკა შველიძე. ბატონ პოლიკარპეს მგონი ხუთი გუნდი ჰყავდა: სოფლებში, სკოლებში. ზოგჯერ სიმღერას დინამიკური ნიუანსებით, პაუზებით აფორმებდა, აჩქარებდა ან ანელებდა, თუმცა, სიმღერის სხეულს, ინტონაციურ არსს არ ეხებოდა. ერთი კვირა ვიწერდით და, რაც იმღერეს, ყველაფერი ჩავწე-რეთ, მათ შორის საჩონგუროებიც. ჩონგურის დიდოსტატია! და, საერთოდ, დიდი ქართველი და დიდი მუსიკოსია, ფუტ-კარივით მშრომელი პიროვნება. სულ მოძრაობაში იყო, სულ ეჩქარებოდა, სულ რაღაც საქმეს აკეთებდა. ერთხელ მთელი დღე უქმად დავრჩით, დასვენება გამოგვივიდა, რადგან სამ გუნდთან ჰქონდა რეპეტიცია. პენიანი და თავმომწონე კა-ცია. ახლაც თავდაუზოგავად ემსახურება ქართულ ხალხურ სიმღერას“.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან 2000 წლამდე პო-ლიკარპე ხუბულავა აქტიურად თანამშრომლობდა ზუგდიდში დადიანების სასახლის მუზეუმის დირექტორთან, მეგრული

## ო უ ლ ტ უ რ

ფოლკლორის შემკრებსა და სისტემატიზაციონირთან – კალისტრატე სამუშიასთან. „თავდაუზოგავად ვმუშაობდით, ხშირად ვდავობდით კიდეც. თუთა ახალისამუშიამ დაარქვა. ცირა სედლოვებუდას ძველი ტექსტი მოვაშორეთ და ეს ტექსტი დავადეთ. კალისტრატემ მოიძია ლოცვის ტექსტი, რომელსაც ახლად მოქცეული მთვარის დანახვისას ამბობდნენ. თან სარკეზე ან წმინდად ნაჭედ მეტალის იარაღზე უნდა დაეხედათ და ისე ეთქვათ:

ახალგ თუთა გამახარი,  
ცაში კარი სი გომინჯი,  
სი ჯვეში დო მა ახალი!  
თუთა ახალი, ახალთახალი,  
სიხალისით მა გამახარი,  
საოროფოთ სი გეგლერჩნი,  
მა ირ მორთას მუმაახალი!

მთვარევ ახალო, გამაახლე,  
ცის კარი შენ გამიღე,  
შენ ძველი გქნა და მე – ახალი!  
მთვარევ ახალო, ახალთ-ახალო,  
სიხალისით გამახარე,  
სასიყვარულოდ შენ დამიბერდი,  
ყოველი მოქცევისას განმაახლე!

მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი ლალი ჭითანავა: „როგორც ჩემთვის ცნობილია, კალისტრატე მაგნიტოფონზე იწერდა სიმღერებს, თუმცა ამ ჩანაწერების ამჟამინდელი ადგილ-სამყოფელის შესახებ არაფერი ვიცი. ბატონი კალისტრატე გარდაიცვალა, მისი ქალიშვილი კი პეტერბურგში ცხოვრობს“.

2001 წლის მაისში იუნესკომ ქართული ვოკალური პოლიფონია მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ხელთუქმნელ ძეგლად აღიარა. ამ ორგანიზაციის დაფინანსებით თბილისის კონსერვატორიაში დაარსდა ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, რომლის ინიციატივით დაფუძნებული პირველივე საერთაშო-

## ს ა ლ ო ტ უ რ

---

რისო სიმპოზიუმის საკონცერტო ნაწილში ბატონ პოლიკარპე ხუბულავას რამდენიმე ნომრის შესრულება სთხოვეს. ამ სა-მეცნიერო ფორუმზე შეკრებილი ქართველი და უცხოელი მეც-ნიერებისათვის მისი გამოსვლა მართლაც ძალზე საინტერესო და დასამახსოვრებელი აღმოჩნდა.

იუნესკომ საქართველოს საპატრიარქოს გალობის ცენ-ტრისა და ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენ-ტრის სამწლიან პროექტსაც დაუჭირა მხარი, სამეგრელოშიც (ზუგდიდში, ფოთში, სენაკში, ხობში, წალენჯიხასა და ჩხოროწყ-უში) შეირჩა 10 ნიჭიერი ახალგაზრდა, რომლებიც გალობას ლია სალაყაისათან, ხოლო ხალხურ სიმღერას პოლიკარპე ხუ-ბულავასთან ეუფლებოდნენ. ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის გაზეთი („საფარველი“) სიხარულით იუნიტება, რომ საგანგებოდ შექმნილ კომისიასთან გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, სალოტბარო სკოლის მუშაობა დადებითად შეფასდა. ამ არაჩვეულებრივი წამოწყების მნიშვნელობა დღევანდელი გადასახედიდან კიდევ უფრო ცხადად ჩანს. სამეგრელოში, და არა მარტო იქ (მაგალითად, ოზურგეთსა თუ თელავში), აღი-ზარდა მომღერალთა მთელი პლეადა, რომელიც დღევანდელ ქართულ შემსრულებლობაში სერიოზულ განაცხადს აკეთებს და უკვე ახალ ანსამბლებსაც ქმნის.

2008 წლის 26 ნოემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელ-მწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში პო-ლიკარპე ხუბულავას, როგორც ქართული ხალხური მუსიკის მოამაგეს, შემოქმედებითი საღამო მოუწყო (ვიდეოჩანაწერი



The United Nations Educational,  
Scientific and Cultural Organization

hereby proclaims

*Georgian Polyphonic Singing  
- Georgia -*

a Masterpiece  
of the Oral and Intangible  
Heritage of Humanity

松浦 一郎

Koichiro Matsura  
Director-General

Paris, 18 May 2001


## ო ლ ო ტ უ ს

---

ფოლკლორის ცენტრის არქივში ინახება). პროგრამას ეთნო-მუსიკოლოგი, მუსიკოლოგის დოქტორი, ნატალია ზუმბაძე უძღვებოდა, რომელმაც, ლოტბარის ცხოვრებისა და მოლვანეობის ძირითად მომენტებთან ერთად, ბატონი პოლიკარპეს პიროვნული ლირსებები და ხუმრობებიც გააცნო მაყურებელს. სცენაზე ვიხილეთ: გენო ჯანაშია, ბოჩი თოდუა, ვეფხვია ან-თია, თენგიზ კვარაცხელია, ჯოტო უბილავა, ნოდარ ჩხვიმიანი, შოთა მოლაშხია, მურად გოგია, გოჩა ქირია, ვლადიმერ ბერია, ელვად ყიფიანი. საღამოზე შედგა ანსამბლ „ოდოიას“ მესამე თაობის დებიუტი. ზემოთ ნახსენები ლოტბართა სკოლის ბაზაზე აღზრდილი ეს ახალგაზრდები – ეპარქიის სხვადასხვა ტაძრის მგალობლები – ზუგდიდის ფოლკლორის ცენტრის დაარსების შემდეგ გაერთიანდნენ (ამჯერად მათი ხელმძღვანელი ორესტ სიჭინავაა). საღამოზე დაგეგმილი იყო პოლიკარპე ხუბულავას, ოთარ ბერძენიშვილისა და მალხაზ ერქვანიძის ტრიოს გამოსვლაც, რასაც ბატონი ოთარის ავადმყოფობამ შეუშალა ხელი. შესრულდა: მრავალუამიერი, დღაშდო სერი, ართი ვარდი, ფაცხა, რკინას ხოჯი, სუფრული სიმღერების ნაკრები (ხარათია, ოლური კულარე და გემვია), ია პატნეფი, ზესქვი უჩა, ოჩხვარალი, მა ლეთი, მა მურე მიჭირსუ, კუჩხი ბედინერი, მეგრული ფერხული (ჯანსულოთი და პარირათი), მა სი ვარდი, არამი დო ბარიქა, ჭიჭე ტურა, მოღე ჩიტი ვიღახე, ოსხაპური, ძაბრალე, ლაუდვაში, ჩქიმ საბჭოთა სახელმწიფო, სიმღერა ბერიაზე, მერცხალო, მშვენიერო... ფოლკლორის ცენტრის დირექტორმა – გიორგი უმიკიმვილმა ორგანიზატორების სახელით ლოტბარს ფულადი პრემია და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჩუქრების შესახებ შეტყობინება გადასცა.

## ო ლ ტ უ რ

2007 წელს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ზუგდიდში ანსამბლ „ოდოიასგან“ ოცი სასიმღერო ნიმუში ჩაიწერა. 2013 წლის ნოემბერში ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „იმედის გმირი“ პოლიკარპე ხუბულავას მიეძღვნა (გადაცემის ავტორი გოდერძი შარაშია, ოპერატორი ბორის ფოცხიშვილი).



პოლიკარპე ხუბულავა სტუმრად ფრანკ კეინთან

## „

ბატონი პოლიკარპე ნადირობის ტრფიალია. გადამფრენ ფრინველებზე – მწყერზე, ხოხობზე, იხვებზე ახლაც ვნადირობო რომ მითხრა, თავიდან არ დავუჯერე, მაგრამ ლალი სეთურიძის რადიოგადაცემა „ჩაკრულოში“ ინტერვიუს მოსმენისა და ბანკ „კონსტანტასა“ და სტუდია „შავნაბადას“ პროექტით გადაღებული ფილმის ნახვის შემდეგ, დავრწმუნდი მის სიმართლეში. თავგდასავლების მოყოლაც ძალიან უყვარს: „პონტირი, სახელად წორო, თბილისში მაჩუქეს. მართალია, დაბერდა, მაგრამ მაინც კარგად ნადირობს. ერთმა სვანმა გამაყოლა ბიჭი, არჩვი მოაკვლევინეო. მთაზე ავედით და ქვების ხმა გავიგე: ან დათვია, ან არჩვი, რადგან ქვებს სხვა ცხოველი ვერ ყრის. ორჯერ ვესროლე, ავაცდინე. ძალიან ახლოს იყო. შორს რომ ყოფილიყო, არ გამიჭირდებოდა. იმდენად ახლოს იყო, რომ თვალებში მიცქერდა და, ალბათ, უკვირდა, ეს კაცი ყოფილაო. გამექცა და მეორე დღეს მოვკალი. ახლა აღარ შეიძლება არჩვსა და დათვზე ნადირობა. ლორიც ბევრია, მაგრამ მე არ შემხვედრია“.

პოლიკარპე ხუბულავას მოსწრებულ სიტყვა-პასუხს, ენაკვიმატობებს ჯიხაშკარელები და ზუგდიდელები ანეკდოტებად ჰყვებიან, მაგალითად: ერთხელ გერმანე ფაუავას რეპეტიცია გაუცდენია. პოლიკარპე მასთან სახლში მისულა. ცოლს უკითხავს, კი მაგრამ უმისოდ ვერ იმღერებთო? მომღერლად კი არა, ჭიჭურაში მყეფარად მჭირდებაო, – უპასუხია ლოტბარს.

პოლიკარპე ხუბულავა ღირსების ორდენის და წმინდა გიორგის ორდენის კავალერია. ასევე 2005-2006 წწ. ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის, ფოლკლორის ეროვნული და ფონდი „ქართული გალობის“ პრემიების

## ო უ ლ ტ უ რ

ლაურეატი. მის დამსახურებაზე მეტყველებს, აგრეთვე, საო-ჯახო არქივსა თუ ზუგდიდის ფოლკლორის ცენტრში დაცუ-ლი უამრავი დიპლომი და სიგელი, რომელთაგან მხოლოდ ზო-გიერთს შემოგთავაზებთ: 1970 წ. – ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებულ რესპუბლიკურ დათვალიერებაში მონაწილეობისათვის; 1973 წ. – სსრკ შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი თვითმოქმედი ხელოვნების რესპუბლიკურ დათვა-ლიერებაში მონაწილეობისათვის; 1977 წ. – ფესტივალში „ბიჭ-ვინთის საღამოები“ მონაწილეობისათვის; 1978 – ქ. მახარაძის მუსიკალურ ფესტივალში „გურიის გაზაფხული“ მონაწილეო-ბისათვის; 1996 წ. – კულტურის მინისტრის ვალერი ასათიანის მადლობის ფურცელი ხალხური შემოქმედების დარგში ნაყო-ფიერი მოღვაწეობისათვის; 2005 წ. – ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედების მეორე რესპუბლიკურ ფესტივალში ქართული ხალხური სიმღერის პოპურის შესრულებისათვის; იმავე წელს ხობის საერთაშორისო ფესტივაში „სიმღერა სამეგრელოზე“ მონაწილეობისათვის; 2010 წ. – ფაშიზმზე გამარჯვების 65-ე წლისთავის საიუბილეო მედალი; 2011 წ. – გიორგი სალუქვა-ძის სახელობის ფოლკლორის მეორე საერთაშორისო ფესტი-ვალში მონაწილეობისათვის; იმავე წელს ფესტივალ „არტგენ-ში“ მონაწილეობისა და ხალხური შემოქმედების შენარჩუნე-ბა-განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის; საერთაშორისო ფესტივალ „ჩვენებურებში“ მონაწილეობისათვის; 2013 წ. – საერო და სასულიერო მუსიკის ბათუმის ფესტივალში მონა-წილეობისათვის; 2013 წ. – გური და ტრისტან სიხარულიძეე-ბის შემოქმედებით საღამოში მონაწილეობისათვის; 2014 წ. „თბილისობის“ დღესასწაულში მონაწილეობისათვის...

## სულიონი

პოლიკარპე ხუბულავა ზუგდიდში დღესაც ოთხ ანსამბლს ამეცადინებს. მას სურს, რაც შეიძლება მეტი მოასწროს და თავისი ცოდნა ბევრს გაუზიაროს. დილით თბილისში ჩამოსული რადიოში, ტელევიზიაში, ფოლკლორის ცენტრში შეირბენს, „ბასიანის“ წევრებს ან ეთნომუსიკოლოგებს შეხვდება და საღამოს ისევ ზუგდიდში ბრუნდება. ასეთი თავდადება, მართლაც, მისაბაძია.

2014 წლის 4 დეკემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მხარდაჭერით, გაიმართა ღვანწლმოსილი ლოტბარისა და მოძღვრლის 90 წლის საიუბილეო საღამო და მისი სახელობის ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალი.



პოლიკარპე ხუბულავას ვარსკვლავის გახსნა ზუგდიდში

## ო უ ლ ტ უ რ ი

პოლიკარპე ხუბულავას კულტურის სამინისტროს სპეციალური ჯილდო – „ხელოვნების ქურუმი“ – გადასცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ. ლოტბარს იუბილე მიულოცეს ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა ანზორ ერქომაიშვილმა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი დონაძემ. მათ აღნიშნეს პოლიკარპე ხუბულავას უდიდესი დამსახურება ქართული ხალხური სიმღერის აღდგენა-გადარჩენის საქმეში.

საიუბილეო კონცერტში მონაწილეობდნენ ფოლკლორული ანსამბლები: „იალონი“, „დიდგორი“, „სახიობა“ – თბილისიდან, „შალვა ჩემო“ – ოზურგეთიდან, შემოქმედის ტაძრის მომღერალ-მგალობელთა გუნდი, „ფერისცვალება“ – ბათუმიდან, ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, „ოდოია“, „ჩელა“...

ძნელია, სრულად ჩამოთვალო ყველა ის კონცერტი თუ ლონისძიება, რომლებშიც ბატონ პოლიკარპეს მონაწილეობა მიუღია. წარმოუდგენელია, დაასახელო ყველა სიმღერა, რომელიც ლოტბარმა ზეპირად იცის. როგორც თვითონ ამბობს: „გვერდით უდევს ფანქარი და რამდენი გაახსენდება – ჩანერს“.

პოლიკარპე ხუბულავასთვის სიმღერა ყოველდღიური ცხოვრების წესი და ადამიანებთან ურთიერთობის საშუალებაა.

ღმერთმა კიდევ დიდხანს მისცეს ქართული ტრადიციული მუსიკის – ამ დიდი საგანძურის – შესრულებისა და თაობები-სათვის გადაცემის უნარი!

# სალტო



პოლიკარპე ხუბულავა, ნინო კალანდაძე-მახარაძე, ურა პატარიძე და  
არჩილ ბურჭულაძე. 2014 წ. ზუგდიდი

## რაც მინახავს და მსმენია

(ინტერვიუ პოლიკარპე ხუბულავასთან)<sup>1</sup>

– ბატონო პოლიკარპე, თუ შეიძლება, რომ თქვენი ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებები გაიხსენოთ?

– ბავშვობაში თხმელის ღეროსგან ვაკეთებდი ხოლმე პატარა სასტვენს და ვაწრუპუნებდი. ვთამაშობდით თარხვანტიას: ხის ღეროში ვტენიდით თხმელის ნაყოფს და თოფივით ვისროდით. ხელისგულზე თითით „ლოლია, ლოლია“ იცოდნენ. ხუთი ქვაც მახსოვს. ეს ყველაფერი ნაკლებად მაინტერესებდა. თავიდანვე სიმღერა მიზიდავდა.

<sup>1</sup> საკუთარი მასალის გარდა, გამოყენებულია ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მუსიკის მიმართულების თანამშრომლების – ნანა ვალიშვილის, ნინო შველიძის, თეა კასაბურის, მთავარი რედაქტორის – ბაია ასიეშვილის მიერ 2005-2006 წელს. და ლოტბარის – ლელა ურუშაძის 2007 წლის ინტერვიუები.

## ო უ ლ ტ რ უ ლ

---

– რა დღესასწაულები ტარდებოდა თქვენთან და თუ მღე-  
როდნენ?

– ჩვენთან იცოდნენ მისარონიობა, სალოცავი იყო ასეთი.  
კიდევ მარტში, ქეჯვარობაზე შენგელიები და ზარანდიები  
იყრიდნენ თავს. ამ გვარისანი ბევრი არიან, ერთმანეთს არ  
გაჰყვებიან, არც ცოლად მოიყვანენ, არ შეიძლება – სალოცავი  
ერთი გვაქვსო. ღორს წირავენ ხოლმე, რომელიც 15-16 წლისა  
უნდა იყოს, თითო წელს თითო ოჯახი ასუქებს... დიდი მინ-  
დორია და იქ ბურთაობდნენ კიდეც. რაიმე საგანგებო სიმღერა  
არ გამიგია, ალბათ, ვისაც რა უნდოდა, იმას მღეროდა.

წელიწადში ერთხელ ფარაზონის უბანში კვირა დღეს ჯა-  
რალობა (ჯარალუა) ტარდებოდა. თუ ვინმეს ვინმე მოსწონდა  
ან ჩხუბის გარჩევა უნდოდა, იქ მიდიოდა და აუცილებლად  
გარიგდებოდნენ. იქ ლელობურთიც იმართებოდა. ცხენით იყო  
კაცი დამალული, წაართმევდა ბურთს და წყალს აქეთ თუ  
მოიტანდა, ჩვენი იყო გამარჯვება. ცეკვავდნენ ლეკურს და  
შამილს. სიმღერა არ იყო ცეკვისას, დაირას და ტაშს უკრავ-  
დნენ. წრეს გააკეთებდნენ და შიგნით ქალ-ვაჟი იცეკვებდა.  
„კრეპოსტთან“ (ჯიხასთან) წყალი ჩამოდის და იქ საბანაოდ  
გროვდებოდნენ. სალამონბით ცეკვავდნენ. ჩვენს სოფელში  
საცეკვაოდ თავშეყრის ადგილს ოსხაპუე ერქვა.

მახსოვს, ქალები და კაცები წრეში წეკა თითებით გადაბ-  
მული დადგებოდნენ. ამას „გითულას“ ეძახოდნენ — წაყვანას  
ნიშნავს. ვისაც ვინ მოწონდა, იმას მოკიდებდა ხელს, წაიყვან-  
და და ასე თაღივით, ხიდივით დადგებოდნენ. რამეს სპეციალ-  
ურად არ მღეროდნენ, მაგრამ ძველი ბედინერა კი გამიგია.  
მოკლე ბედინერა კოკელაძეს აქვს მამაჩემისგან ჩაწერილი. მა-

## ს უ ლ ტ რ უ

---

შინ ძალიან გვიკვირდა – აქ, ფონოგრაფის წინ რომ იდგნენ და მღეროდნენ, იქ როგორ იწერებოდა? როგორ ჟღერდა ხმა? ამ-ბობდნენ, ეს ნემსი მოწამლულიაო, პატეფონის ნემსიც მოწამ-ლულია და ისე უკრავსო...

ყულისკარში ვამღერებდი ოხოხოიას – წრიული ფერხუ-ლია, მერე შუაზე იყოფოდა და მოჰყვებოდა პარირა. ჯიხამ-კარში ჯანსულოს ჩემი დისტვილი მღეროდა. მანამდე ერთი კარგი მოცუკვავე იყო, იონა თირქია. არაჩვეულებრივი გასმები ჰქონდა. ისე, მე თვითონაც ვცეკვავდი. კალისტრატე სამუ-შიას უწერია, რომ ჯანსულოს მისამღერი ტექსტის ავტორ-მთქმელები იონა და ბართლომე სართანიები არიანო. ცეკვის შემქმნელი და პირველი შემსრულებლი კი დომენტი კიტიააო. მართალია, ძაბრალე (ძვაბრა რე) და ჯანსულო ერთმანეთის პარალელურად არსებობს, მაგრამ მეორე პირველის წაბაძვი-თააო შექმნილი. ავსულის, მუხანათის წინააღმდეგ მებრძოლმა გმირმა მასხარას სახე მიიღო.

საშობაო ჩამოვლაზე არასოდეს ვყოფილვარ, ალილო და ასეთი უბრალო სიმღერები არ მიყვარს. საახალწლო კირიალუ-სას ჯიხაშკარშიც მღეროდნენ და ახლაც მღერიან.

**– საოჯახო რიტუალებიდან თუ გახსოვთ რამე?**

– ბავშვი რომ დაიბადებოდა, მამაჩემი ძროხას დაკლავდა. მზე მინა და მზე გარეთა ჩვენსკენ არ მსმენია. ბავშვებს ნანას უმღერებდნენ. ბატონებზე მოიტანდენ ხოლმე ჩალას და გვერ-დით დაუდებდნენ ავადმყოფს. ჯორით დადიან ბატონები და ესიამოვნებათო, – იტყოდნენ. ჩონგურს უკრავდნენ, მღეროდ-ნენ. ეხვენებოდნენ ღმერთს, მიწას ჭამდნენ. ია პატნეფი იცის ჩემი გუნდის წევრმა ვეფხვია ანთიამ – მახვეწარია კორცხელის

## ო ლ ტ რ უ ლ

ეკლესიაში. ბატონებს ეალერსება, ოქროს აკვანს მოგიტანო, – ეუბნება.

გლოვის ზარი მეგრელებსაც გვქონდა. ანტიფო ჭეშიას ჰყავდა ჯგუფი, რომელიც მაგას ასრულებდა. მაგრამ ეგოისტი კაცი იყო, წავედით სპეციალურად მოსასმენად და სადაც დაგვინახავდა, მავთულს აიღებდა ხელში და არ მიგვიშვებდა ახლოს. არაფრით არ გვასწავლა და ისე მოკვდა, რომ დაიკარგა ეს არაჩვეულებრივი ნიმუში.

მოტირალ ქალს ახლაც იწვევენ ხოლმე. ისე ტირის, ყველას აატირებს. აქ მხოლოდ სიტყვებს ამბობენ, სვანები კი სხვანაირად ტირიან: ერთი იტყვის, დანარჩენები წრეში რომ სხედან, გუნდურად ტირიან. აქ ქალები ბანს არ აძლევენ. ზოგჯერ სატირალში ჩონგურით დადიან ვიღაცები და მღერიან. კლარნეტი, დუდუკი და დოლი აქ არ იციან, მარტო ჩონგური. მეცხოვრებაში არ წავსულვარ ამისთვის.

**– ამინდთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს თუ შესწრებისართ?**

– გვალვაზე „გააკეთებდნენ „ჩუჩელას“, ჩააგდებდნენ წყალში და კიოდნენ, ვითომ კაცი იყო დამხრჩვალი. ხან იტყოდნენ: „კუკლა“ დაახრჩვეთ, თორემ არ გვემველებაო. ერთ კილომეტრს რომ გაივლიდა ეს „ჩუჩელა“ მდინარეში, აუცილებლად გაწვიმდებოდა. ძალიან მიკვირდა, მაგრამ მართლა ასე ხდებოდა.

**– სამეგრელოში გავრცელებულ საკრავებზე რას იტყვით?**

– დედამ და მამამ დიდმუცლიან ჩონგურზე მასწავლეს დაკვრა. უნინ ჩონგურის სიმები აბრეშუმისა იყო და სულ სხვა ხმა ჰქონდა. ახლა ეს სიმები კაპრონისაა. კი მინდა აღვადგინო, მაგრამ აბრეშუმის ჭია აღარ არის.

## სალტო

საფანდურო ხედ ვერხვს იყენებდნენ. ახლაც მივაწერე ერთ ხეს – არ მოჭრათ, საფანდუროა-მეთქი. ობუჯში ამზა- დებს გულიკო კაკაჩია. ვიცი, რომ ვიღაც სალამურსაც აკეთებს თურმე. აი, მეგრული ლარჭემი კი აღარ არსებობს. ძველი ხალხი აკეთებდა და ჩვენ როგორ უნდა დაგვეკარგა? მწყემ- სები ამით ეხმიანებოდნენ ერთმანეთს. ყველა ხისგან ვერ გაა- კეთებ. შეიძლება ერთი ურემი გაავსო და არც ერთმა არ ივარ- გოს. მისი მასალა ისეთ ადგილას უნდა მოტეხო, სადაც მამლის ყივილი არ აღწევს, უფრო მთაში ხარობს. ძველები სპეციალუ- რად არჩევდნენ. ერთხელ ლარჭემის ოსტატის მოსაძიებლად წავედო. მითხრეს, ყველა მკვდარიაო. ვინც დარჩა, იმასთან რომ მივედი, დახავსებული ლარჭემი გამოიტანა. გული მტკი- ვა, რომ სხვებმა (მაგალითად, მოლდაველებმა) გამოიყენეს და ჩვენ – ვერა. დალუპული კაცის სული ლარჭემით მოყავდათ და ამას ახლაც აკეთებენ ჩონგურით. ჩემი გუნდის ერთი წევრი ძაფს აბამდა, თუ დამთავრებოდა, კიდევ გადააბამდა და ასე უკრავდა ერთნაირად, თან მღეროდა.

ოცე აქ არ მახსოვს. ისე კი, რაღაც დიდ ფულუროს ჰქვია. ჩვენთან ვინმეს ეტყვიან: რას გავხარ? ოცეს გავხარო. ერთხელ დავინახე საფრანგეთში ასეთი საკრავი.

ჩემი საყვარელი საკრავი ჩონგურია. მისი ჯორა მაღალი უნდა იყოს, წვრილად თუ არ ჩაჭრი, სიმები ტკაცუნს იწყებს.

### - გამორჩეულად თუ გიყვართ რომელიმე სიმღერა?

– კი, ძალიან მიყვარს ჩელა. ენგურში ჩავაკითხე აკაკი ხარებავას. მკითხა, ჩხოროწყუს გუნდს დეკადაზე რა ამღერო. მეც ვუთხარი. სოლო დაინყო და მე მივუმღერე. ასე რომ, ის ცნობილი ვარიანტი, რომელსაც ხარებავასეულად იხსენიებენ, მე და აკაკიმ ერთად შევქმნით.

## ო ლ ტ რ ა

---

არამი დო შარიქას ერემაძეები მღეროდნენ. ლადიკო ერემაძე – იუმორით სავსე კაცი – ადრე აკობიებთან მღეროდა. მან დაამღერა ჩონგურზე ორ ხმაში. მე ეს სიმღერა გუნდის-თვის გადავამუშავე. სტრიქონებიც შევუცვალე, რადგან ერემაძემ ტექსტი არ მომცა. ჩემი ვარიანტის სიტყვები იონა სიჭინავას ეკუთვნის. ჯიხაშკარში რომ ვამღერე გუნდს, რაკომის მდივანი კლიმენტ ხუბულავა გადაირია. მოძრაობები სცენაზე ერემაძეებსაც ჰქონდათ. მე ძალის ყეფა შევიტანე. ახლა, გენაცვალე, უცხოელებმა (კანადელებმა) მამლის, ხბოს და სხვა ხმებიც დაუმატეს, სიმპოზიუმზე მოვისმინე.

მაგლობიაც მიყვარს. ამას დათიკო ფაცაცია მღეროდა. არ ვიცი, მისი იყო თუ არა, მაგრამ მისგან მოვისმინე. მერე კი განსხვავებული, ჩემი ვარიანტი შევქმენი.

შენ რომ მომასმენინე ტყვეების ნამღერი ზესქვი უჩა, ეს ამ სიმღერის ძველი ვარიანტია. მე მისამღერი დავუმატე და ჩემებურად ვმღერო.

– **შრომის პროცესში თუ მოგისმენიათ სიმღერა?**

– „ნოდობაში“ 40 კაცი ერთად თოხნიდა. ერთი მხარე დაიწყებდა, მეორე გამოართმევდა კარგი მოსასმენი იყო შორიდან. მაგრამ ახლა ამისთვის ვის ცალია? დაიკარგა. ოდორა კი ძველად სხვა იყო. ახლა ისე გააგიუს, ისე ჩაასწორეს, ფეხს მოიჭრის კაცი. ძველი ოდორას ჩემს ანსამბლს ვამღერებ. ხემხვისას და ოჩებელების სიმინდის რჩევისას და ტეხვისას ამბობდნენ. სხვადასხვა სიმღერაა, მაგრამ ერთსა და იმავე დროს სრულდებოდა. ობარგალი ვორი ოხოს – მარგვლისას იტყოდნენ.

– **ამჟამად ყველაზე უკეთ რომელ პარტნიორს ეწყობით?**

– ალბათ სიხარულიძეებს. ერქვანიძე ფენომენია. მაგასთან სიმღერა ძალიან მომწონს.

## სულიტური

**– თქვენი აზრით, რითია გამორჩეული მეგრული სიმღერა?**

– მეგრული სიმღერა უმეტესად ნაზია, ნელ-ნელა მიდის. გურულისაგან განსხვავდება. ერთხელ ვიკითხე: რატომ ეცე-მით ხოლმე ასე გურულები სიმღერას-მეთქი? – მოთმინება არა გვაქვსო, – მიპასუხეს.

**– სამეგრელოს სხვადასხვა მხარის სიმღერები თუ განსხვავ-დება ერთმანეთისაგან?**

– დიახ, რა თქმა უნდა. ყველას სხვადასხვა მოქცევა აქვს. წალენჯიხური, მარტვილური ან ზუგდიდური განსხვავებულია. მაგალითად, ჩელაში მელოდიაშიც და შესრულების მანერაშიც ვხედავ სხვაობას. საწყისი ჰანგიც სხვადასხვაა. ყველგან თა-ვისებური კილოთი მღერიან.

**– ხშირად მიმართავთ იმპროვიზაციას?**

– ერთ ვარიანტს რომ ისწავლი, ის არაფერია. მთავარი სწორედ გალამაზებაა – რაღაცას რომ შეუცვლი, ჩაუმატებ. ყველგან მიყვარს ჩემეული ცვლილების შეტანა, ყოველთვის მიმზიდველ რაიმეს ვუმატებ. ამის გარეშე საერთოდ არ შემიძლია. სულ უბრალო რამეს გავუკეთებ და უკვე იცვლება. პატრიარქმა იმპროვიზაციისთვის მომცა ოქროს მედალი.

**– რა მეთოდით ასწავლით სიმღერას?**

– ჯერ სათითაოდ ვასწავლი თითოეულ ხმას და მერე ერთად ვამუშავებთ. კამერტონი მაქვს, მაგრამ არ ვხმარობ. მიკვირს, უცხოელები როგორ სწავლობენ? ერთხელ ვაჩვენებ და მაშინვე იმახსოვრებენ. რაღაც თავისებური ნიშნებითაც იწერენ ხოლმე.

## ო ლ ტ რ ა



ანსამბლ „ოდოიას“ მესამე თაობა:

ბუბა სორდია, ორესტ სიჭინავა, ლაშა თოდუა, ბექარ გადილია, დიმიტრი  
გერლიანი, მირზა შველიძე, მერაბ ბიგვავა, პოლიკარპე ხუბულავა,  
ზალ ზარქუა, ვახო უბილავა

– სამუსიკო ფოლკლორის დღევანდელი ვითარება, სწავლე-  
ბა?

– ფონოგრამებით მღერა ჩვენთანაც დაიწყეს. ფესტივა-  
ლის უიურის წევრად მიმინვიეს, ფონოგრამაზე სიმღერა რომ  
გავიგე, არ დავწერე ქულები და წამოვედი. არც ის მომწონს,  
ფანდურს და ჩონგურს რომ ერთად უკრავენ. ბას-ფანდური  
და ბას-ჩონგური რაღაა? ვინც თქვა, რომ დაბალი ბერებია  
საჭირო, იმას ჰქონდეს. მე სწორად არ მიმაჩნია. მშობლების  
ბრალია. მიკროფონსა და ფონოგრამაში ფულს არ ზოგავენ. მე

## „ლოტუსი“

---

არ შემიძლია მაგის მოსმენა. ძალიან კი გავრცელდა და თხოვნა მაქვს: გადავარჩინოთ ხალხური სიმღერა! რაიონებს უნდა მივხედოთ, რომ ეს ძველებური სიმღერები შევინარჩუნოთ, მომავალ თაობას გადავცეთ. მერწმუნე, ანზორ ერქომაიშვილმა ბევრი გააკეთა, მაგრამ კიდევ უფრო მეტი ადამიანის ძალისხმევაა საჭირო.

- თუ არის ისეთი სიმღერა, რომელიც არასდროს შეგის-რულებიათ და გული გწყდებათ?

- დიახ, ძალიან მინდა, რომ ჩემი სიმღერა შოთა რუსთაველი-ზე ვამღერო რომელიმე ანსამბლს.

## მრავალხმიანი აზროვნება – უწყვეტი ტრადიცია

ქართული ტრადიციული მუსიკის თანამედროვე შემსრულებელთა შორის პოლიკარპე ხუბულავას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. პიროვნული ღირსებებით, მრავალფეროვანი რეპერტუარით, ჩინგურის დაკვრის უზადო ხელოვნებით, მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით და ნაყოფიერი პედა-გოგიური მოღვაწეობით ოდიშელი მომღერალი, მართლაც, გამორჩეულია.

ბატონი პოლიკარპე რადიო და ტელეგადაცემების, კონცერტებისა და ფესტივალების ხშირი სტუმარია. ლოტბარის შემოქმედებითი საღამოები ტარდება ზუგდიდსა და თბილისში. გამოცემული დისკების ანოტაციები, ინტერნეტგვერდები საინტერესოდ მოგვითხრობს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

პოლიკარპე ხუბულავას მავანნი „მეგრული სიმღერის გაგურულებაში“ სდებენ ბრალს. მომღერალი თავადაც არ უარყოფს გურული სიმღერის სიყვარულს, ხალხური მუსიკალური შემოქმედების ძირითადი პრინციპისადმი – იმპროვიზაციისადმი – განსაკუთრებულ ლტოლვას. „მეგრულში გურული რომ არ გავურიო, არ შემიძლია. ჩხივინი მიყვარს. მამაჩემი როგორც მღეროდა, მეც ისე ვმღერი“. მომღერალს მოსწონს სიახლე, სიმღერის შექმნის პროცესი – შემოქმედებითი აქტი, რომელიც შემსრულებლისაგან გონების დაძაბვას, მრავალხმიანი ფაქტურის „მრთველი“ თანამომღერლებისადმი საგანგებო დამოკიდებულებას მოითხოვს. მისი აზრით, „როცა გურულ სიმღერას მღერი, ყურადღებით უნდა იყო, რომ ხმიდან არ გადავარდე.

## ლეიტურა



პოლიკარპე ხუბულავა საგალობლების ჩაწერისას

ისე უნდა უდარავო სხვა ხმებს, როგორც ნადირობისას ძალი დარაჯობს კურდღელს“. ამ სიტყვებში პიროვნების ხასიათი, გნებავთ, საშემსრულებლო ქცევა და ცხოვრების წესიც ჩანს (ბატონი პოლიკარპე დღემდე ხომ კარგი მონადირეა). იგი მუდ-მივად სინატიფეს ეძიებს, განსაკუთრებულ ოსტატებს არჩევს, სიმღერებსაც სირთულის მიხედვით აფასებს და მრავალსაც მარტივსა და უბრალოს ეძახის. არ არის გამორიცხული, რომ გურული მრავალხმიანობის სტილური თავისებურებების ასეთი სიყვარული მას მარტვილის სამგალობლო სკოლაში აღზრდილი მამისაგანაც დაჰყვა.

ლოტბარმა ერთ-ერთ შეხვედრაზე მითხრა, რომ ბავშვობაში მამისაგან ნასწავლი შენ ხარჯენანი და მერცხალო, მშვენიერო იცოდა. ისიც მიამბო, რომ გასული საუკუნის 70-იან წნ. საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა კავშირის ფოლკლორულმა

## ო უ ლ ტ უ ლ

კომისიამ მისგან ხალხური სასიმღერო ნიმუშები კომპინირებული წესით ჩაიწერა. გადავწყვიტე, მისთვის საგალობლების ამგვარადვე შესრულება მეთხოვა და 2014 წლის გაზაფხულზე ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხმის ჩამწერი მოძრავი სტუდიით ზუგდიდში ვესტუმრე<sup>1</sup>. მისი ანსამბლებისგან („ჩელა“, „ოდოია“, ვეტერანების ანსამბლი) ფოლკლორული ნიმუშების დაფიქსირების შემდეგ ვთხოვე, საგალობლების სამივე ხმა თავად შეესრულებინა. ნიმუშები ურეპეტიციონდ, პირველივე ცდაზე ჩაგვანერინა. ოღონდ ხალხური სიმღერის შემსრულებლობის კანონიკით: ჯერ შუა ხმა შეასრულა, შემდეგ ზედა და ბოლოს ბანი. აღდგომის წინა დღეები იყო და ქრისტე აღდგაც ვკითხე. პირველი ფრაზის შემდეგ (ქრისტე აღდგა მკვდრეთით) შეჩერდა და მელოდიის გაგრძელება მხოლოდ ლოცვითი ტექსტის (სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი...) შეხსენების შემდეგ შეძლო.

ამ მასალაზე დაყრდნობით, ტრადიციული მრავალხმიანობის VII საერთაშორისო სიმპოზიუმისათვის მოხსენება მოვამზადე, რომელშიც ხუბულავების სამგალობლო ტრადიციების კვლევისას წამოჭრილ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს შევეხე: ერთი Homo Polyphonicus-ების მუსიკალურ ცნობიერებას უკავშირდება. მეორე კი მათ მიერ შემონახული საგალობლების წარმომავლობას. საილუსტრაციოდ წარვადგინე პოლიკარპე ხუბულავას მიერ შესრულებული საგალობლების ცალკეული ხმების

<sup>1</sup> მადლობას ვუხდი ფოლკლორის ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს – გიორგი დონაძეს, ხმის რეჟისორს – არჩილ ბურჯულაძეს, კოორდინატორს – უჩა პატარიძეს, მძღოლს – ნუკრი ირემაშვილს და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრ „ოდიშის“ დირექტორს – ნინო მამფორიას. ჩანაწერები ინახება ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში.

## „სულიტუა“

---

კომპიუტერულად გაერთიანებული ვერსია. ამ ექსპერიმენტის შედეგი – სამი საგალობლის აუდიოჩანაწერი – მოხსენების ტექსტთან ერთად, მალე გამოქვეყნდება.

როგორც უკვე აღვნიშნე, პოლიკარპე ხუბულავას მამა – ერასტი მარტვილის სამგალობლო სკოლაში იყო აღზრდილი. ამდენად, ხუბულავებისაგან ჩაწერილი საგალობლები სწორედ ამ დასავლურ-ქართული სკოლის ნიმუშები უნდა იყოს. 2003 წელს, ბატონი კუკური ჭოხონელიძის დაკვირვებაზე დაყრდნობით, ამ სკოლის ერთადერთ ფიქსირებულ ნიმუშად მე და ლელა ურუშაძემ მრავალუამიერის რემა შეღეგიასეული ვარიანტი მივიჩნიეთ. გრიგოლ კოკელაძეს ამ შემსრულებლისაგან საგალობლებიც რომ ჩაეწერა, ალბათ, მარტვილის სამგალობლო სკოლის დიდებული ნიმუშები კიდევ შემოგვრჩებოდა. ახლა კი მარტვილური გალობა ერასტი და პოლიკარპე ხუბულავებისაგან ჩაწერილი საგალობლებით შეიძლება შევაგეოთ (სხვათა შორის, ბერლინელი ტყვევების ჩანაწერებშიც აღმოჩნდა მე-გრელების მიერ შესრულებული ორი საგალობელი).

რატომ ასწავლა მამამ პოლიკარპეს მაიცდამაინც შენ ხარ ვენახი და მერცხალო, მშვენიერო? ან რატომ დაიმახსოვრა ყმაწვილმა მაინცდამაინც ეს ნიმუშები? როგორ გადარჩა საბჭოური რეჟიმის პირობებში ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლისადმი მიძღვნილი საგალობლები? ჩემი აზრით, მიზეზი ამ ნიმუშების სიტყვიერი ტექსტების დაფარულ სემანტიკაში უნდა ვეძიოთ. ცხადია, ერასტი ხუბულავამ იცოდა მათი დანიშნულება, მაგრამ, ვფიქრობ, ცენზურის შიშით, ოჯახის წევრების დაცვისა და ნიმუშების გადასარჩენად, შეგნებულად დამალა მათი არსი (შეგახსენებთ, რომ საგალობლების ცოდნას

## ო უ ლ ტ უ რ

სხვა შემსრულებლებიც მაღავდნენ, მაგ. არტემ ერქომაიშვილი). ბატონ პოლიკარპეს და ბევრ, საბჭოთა ეპოქაში დაბადებულ ადამიანს, ეს ნიმუშები დღემდე ვაზისა და გაზაფხულის მახარობელი ფრინველისადმი მიძღვნილ სიმღერებად მიაჩინა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა რეჟისორ რევაზ ჩხეიძის „ჯარისკაცის მამაში“ გამოყენებული შენ ხარ ვენახი. აგრეთვე 1982 წელს პარმენ ხუხუნაიშვილისგან ჩაწერილი მერცხალო,

მშვენიეროს ვარიანტი, რომლის ფინალურ ნაწილში ასეთი ტექსტია: „ხმატებილო, ბუნების მოყვარეო, სიცოცხლის მახარობელო, ბუნების ხარ მშვენება. იცოცხლე და იჭიკჭიკე, ჩემო მალხაზო!“ მე საგანგებოდ ვკითხე ბატონ პოლიკარპეს, – ხომ არ იცით, რომელ წმიდანს ეძღვნება ეს საგალობლები-მეთქი, – და ვერ მიპასუხა. მერცხალო, მშვენიეროზე მითხრა, რომ ეს ანგელოზების სიმღერააო. ფოლკლორის შემკრებისა და მკვლევრის – კალისტრატე სამუშიას – მასა-



ღმრთისმშობლის ხატი  
„შენ ხარ ვენახი“

ლებშიც შენ ხარ ვენახს სიმღერა ვენახზე ჰქვია (იგივე ავტორი ერთგან მას ვენახზე საგალობლები მოიხსენიებს). სხვათა შორის, იქვე ქრისტე აღდგას შესახებ წერს, რომ ამ ნიმუშს სამეგრელოში ეკლესიის გარდა მიცვალებულის დაკრძალვის დღესაც გალობენო.

A decorative horizontal flourish consisting of three stylized, symmetrical scroll-like motifs.


გთავაზობთ 1959 წლის ზაფხულში ერასტი ხუბულავასგან ჩანაცილი ნმიდაო ღმერთოს ოთარ ჩიჯავაძისეულ სანოტო ტრანსკრიპციას.

## *Andante*

6dn. pu-m mōg - ham, 6dn. pu-m, d'mo - g - ham,  
 6dn. pu-m · mōg - ham, 6dn. pu-m, d'mo - g - ham,

6dn. pu-m, 4 - 33pu - 3m, 29 - 23n - 6y - pmj P<sub>326</sub>!  
 6dn. pu-m, 4 - 33pu - 3m, 29 - 23n - 6y - pmj P<sub>326</sub>!

ბატონ ითარს მგალობელთა ჩანაწერებში ამავე საგალობ-ლის გრაფიკული ნახაზიც უნახავს:



ქართული საგალობლების არადეტერმინებული ჩაწერის მსგავსი ხერხი ჩემთვის უცნობია. მიუხედავად იმისა, რომ

## ო უ ლ ტ უ რ

ოთარ ჩიჯავაძის მიერ ფიქსირებული ნშიდაო ღმერთო გვიან-დელი, ე. წ. ქალაქური სტილის გალობის ნიმუშია<sup>2</sup>, ვფიქრობ, მრავალხმიანი აზროვნებისა და ფიქსირებული ტექსტის ურთ-იერთმიმართების თვალსაზრისით, მეტად საგულისხმო ინ-ფორმაციას შეიცავს. ნახაზი ზედა (ან შუა) ხმის მელოდიის მიმართულებას გვიჩვენებს (ტერციული პარალელიზმი), მაგ-რამ პირველი და მესამე ტაქტის ბოლო სვლა არ შეესატ-ყვისება ზედა ხმის პარტიას. ჩემი აზრით, აქ ბანის მოძრაობაა მინიშნებული, რასაც ვერბალურ ტექსტში განმეორებული ხმოვანიც უნდა ადასტურებდეს (შემთხვევითობას ან შეცდომას გამოვრიცხავ განმეორების გამო). ანუ ერთ გრაფიკულ ხაზში ორი ხმის პარტია უნდა იყოს გაერთიანებული, რაც შემსრულებლების მრავალხმიან მუსიკალურ აზროვნებაზე, ვერტიკალის შინაგან აღქმაზე მიგვანიშნებს (ერთხმიანი შესრულებისას სხვადასხვა ხმის გაერთიანება ქართველი მომღერლებისათვის უცხო არაა).

მამის გრაფიკული ნახაზით ბატონმა პოლიკარპემ გა-ლობა ვერ შეძლო. მის მიერ შესრულებული შენ ხარ კენახის მელოდია (ზედა ხმა) კი კალისტრატე სამუშიას შემდეგნაირად დაუფიქსირებია:


შეინ-შეინხარუ-ვეენ-აააააა-ხი-აახლად-დაააამ-ყვაიააა-ვეე-ბუუუუუუუუ-ლიი-ნორუ-ჩეი-ეიენუ-კეე-თიი-ლი-დააანეერგუუუუუუ-ლიიი-ააალო-ალო-ვორდო-

<sup>2</sup> XIX ს. ტრადიციული საგალობელი რუსულმა ეკლესიამ ამგვარი გალობით ჩაანაცვლა. როგორც ვიციო, ქართველს შშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის მოსმენა მხოლოდ აღდგომა დღეს შეეძლო, ხოლო კომუნისტურმა რეჟიმმა კი დაუდისმსახურება საერთოდ აკრძალა. საგალობლებმა საოჯახო ყოფაში გადაინაცვლა და ასეთნაირად მოალწია ჩვენამდე.

## ლ ე ტ რ უ ლ

მსუურნეეეეეეე-ლიიი-საა-მუთხიიის-პირაააააიააალმო-  
სუუუუუულიი-თაია-თა-ვი-თვისი-მზეეეეე-ხაარუუ-  
გადმობრნჲინინ-ვაააა-ლეებულიიი).

როგორც ვხედავთ, ჩანაწერი გამღერებული ხმოვნების რა-  
ოდენობის მინიშნების პრინციპს ემყარება და სხვა, ჩვენ ხელთ  
არსებული ანალოგიური მაგალითებისაგან მხოლოდ მარცვ-  
ლების ჰორიზონტალში განთავსებით განსხვავდება. პირველი  
მსოფლიო ომის შემდეგ გერმანელთა ბანაკში მოხვედრილ  
ათანასე გეგლიას მერცხალო, მშვენიეროს სიტყვები ასე ჩაუ-  
ნერია:



ამდენად, პოლიკარპე ხუბულავას მუსიკალურ ცნობიერე-  
ბაში შემონახული საგალობლები, სულ მცირე, ორსაუკუ-  
ნოვანი ადგილობრივი ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობაზე  
მიგვანიშნებს. მათი საფუძვლიანი კვლევა და სხვა სამგალობ-  
ლო ცენტრების (გელათის, შემოქმედის) ნიმუშებთან შედარება  
მომავლის საქმეა.



## შენ ხარ ვენახი

ნოტირებულია მაღაზაზ ერქვანიძის მიერ

**Andante**

Musical score for the first system. It consists of three staves: Treble, Treble, and Bass. The lyrics are:

შე - ი - ნ, შეა - ნ ხარ - რ ვე -  
შეა - ნ ხარ - რ ვე -  
შეა - ნ ხარ - რ ვე -

Musical score for the second system. It consists of three staves: Treble, Treble, and Bass. The lyrics are:

- - - - - - - - - - - -  
bo, ა - ბლა - ვ  
bo, ა - ბლა - ვ  
- - - - - - - - - - - -

Musical score for the third system. It consists of three staves: Treble, Treble, and Bass. The lyrics are:

და - ბ - ყვა - ა - და - ი - ა -  
და - ბ - ყვა - ა - და - ი - ა -  
და - ა - დ - ყვა - ა - და - ა -



ო ლ ტ რ ა

ლი, სა - მუ - თხი - ს პი - რ -  
ლი, სა - მუ - თხი - ს პი - რ -  
- - ლი, სა - მუ - თხი - ს პი - რ -  
- - ლი, სა - მუ - თხი - ს პი - რ -

სა - ი - ა მო - სუ - უ -  
სა - ი - ა მო - სუ - უ -  
სა - ი - ა მო - სუ - უ -  
სა - ი - ა მო - სუ - უ -

- - - - ლი. და - ი - ა თა -  
- - - - ლი. და - ი - ა თა -  
- - - - ლი. და - ი - ა თა -  
- - - - ლი. და - ი - ა თა -

ვი - თვი - სით მზე -  
ვი - თვი - სით მზე - ვ  
ვი - თვი - სით მზე - ვ

# ՋԱՅՈՒՅԹ

եար յա - դմո - ծրնցո - ն -  
եար յա - դմո - ծրնցո - ն -  
եար յա - դմո - ծրնցո - ն -

զա - լու - յա - ծո - լո.  
զա - լու - յա - ծո - լո.  
զա - լու - յա - ծո - լո.

A decorative horizontal flourish consisting of a series of stylized, symmetrical scroll-like curves.

## მერცხალო, მშვენიერო

## ნოტირებულია ნანა ვალიშვილის მიერ

## Andante

A musical score for three voices (Soprano, Alto, Bass) in G major. The lyrics are in Korean and English. The vocal parts are separated by vertical bar lines. The piano accompaniment part is located below the vocal staves.

A musical score for three voices (Soprano, Alto, Bass) in common time, featuring three staves. The Soprano and Alto staves are in treble clef, and the Bass staff is in bass clef. The lyrics are written in Georgian script below the notes. The first section of the song consists of two measures for each voice, followed by a repeat sign and another two measures. The second section also consists of two measures for each voice, followed by a repeat sign and another two measures.

ო ლ ტ ტ ლ

---



---

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G major, common time. The vocal parts are written on treble, alto, and bass staves respectively. The lyrics are in Georgian.

Text (Georgian):

უ - და - ბნოს მო - ყვა - რე - ღნო,  
 უ - და - ბნოს მო - ყვა - რე - ღნო,  
 უ - და - ბნო -  
 უ - და - ბნოს მო - ყვა - რე - ღნო,  
 უ - და - ბნო -

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G major, common time. The vocal parts are written on treble, alto, and bass staves respectively. The lyrics are in Georgian.

Text (Georgian):

სა - ი - ა ნო - რჩო, ქრი - სტეს ნი - ნა - მო - რბე - დო,  
 სა - ი - ა ნო - რჩო, ქრი - სტეს ნი - ნაა - მო - რბე - დო,  
 სა - ი - ა ნო - რჩო, ქრი - სტეს ნი - ნა - მო - რბე - დო,

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G major, common time. The vocal parts are written on treble, alto, and bass staves respectively. The lyrics are in Georgian.

Text (Georgian):

უ - და - ბნოს - ქმნილ - ი - ე - სო, კე - ი - ე -  
 უ - და - ბნოს - ქმნილ - ი - ე - სო, კე - ი - ე -  
 უ - და - ბნოს - ქმნილ - ი - ე - სო, კე - ი - ე -

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G major, common time. The vocal parts are written on treble, alto, and bass staves respectively. The lyrics are in Georgian.

Text (Georgian):

თი - ლთა - გა - ნამ - ყო - ფი - ერ მყავ მე!  
 თი - ლთა - გა - ნა - მ - ყო - ფი - ერ მყავ მე!  
 თი - ლთა - გა - ნამ - ყო - ფი - ერ მყავ მე!

# ო ლ ი ტ ა

## ქრისტე აღდგა

ნოტირებულია ნახა ვალიშვილის მიერ

**Moderato**

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G minor, common time. The vocal parts are separated by vertical dashed lines. The lyrics are written below each line.

Soprano: ქრი - სტე აღ - დგა მკვდრე-თით, სი-კვდი-ლი - თა სი-კვდი-ლი - სა

Alto: ქრი - სტე აღ - დგა მკვდრე-თით, სი-კვდი-ლი - თა სი-კვდი-ლი - სა

Bass: ქრი - სტე აღ - დგა მკვდრე-თით, სი-კვდი-ლი - თა სი-კვდი-ლი - სა

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G minor, common time. The vocal parts are separated by vertical dashed lines. The lyrics are written below each line.

Soprano: დამ - თუ - რგვნე - ლი და სა - ფლად ვე - ბის ში - ნა - თა

Alto: დამ - თუ - რგვნე - ლი და სა - ფლად ვე - ბის ში - ნა - თა

Bass: დამ - თუ - რგვნე - ლი და სა - ფლად - ი - ვე - ბის ში - ნა - თა

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) in G minor, common time. The vocal parts are separated by vertical dashed lines. The lyrics are written below each line.

Soprano: ცხო - ი - ო - ვ - ვრე - ბის მო - მნი - ჭე - ბე - ლი.

Alto: ცხო - ი - ო - ვ - ვრე - ბის მო - მნი - ჭე - ბე - ლი.

Bass: ცხო - ი - ო - ვ - ვრე - ბის მო - მნი - ჭე - ბე - ლი.

ଓ লোলো

**ଓ লোলো**

ନେପାଲୀରେ ପ୍ରକାଶିତ ତାମାର ଶୁଣିଦାନିବାର ମିଳିର

**Moderato**

**rit.**

**a tempo**

ও - লো-লো ফা      ও - রো, ও - লো-লো ফা      ও!

ও - লো-লো ফা      ও - রো, ও - লো-লো ফা

ও - রো, ও - লো-লো ফা      ও - রিফো - বু - তো,

ও - রো, ও - লো-লো ফা      ও - রিফো - বু - তো,

ও - রো, ও - লো-লো ফা      ও - রিফো - বু - তো,

ও - রিফো - বু - তো      ও - রিফো - বু - তো - স

ও - রিফো - বু - তো      ও - রিফো - বু - তো - স

ও - রিফো - বু - তো      ও - রিফো - বু - তো - স

ო უ ლ ტ რ უ ი

---



---

ვო - რი, ა - ღი - ღო და ქრი - სტექ დე - ბად,

ვო - რი, ა - ღი - ღო და ქრი - სტექ დე - ბად,

ვო - რი, ა - ღი - ღო და ქრი - სტექ დე - ბად,

ქრი - სტექ დე - ბად ბე - თლე - მსი - ა და, ა - ღი - ღო და

ქრი - სტექ დე - ბად ბე - თლე - მსი - ა და, ა - ღი - ღო და

ქრი - სტექ დე - ბად ბე - თლე - მსი - ა და, ა - ღი - ღო და

ვო - რი, ა - ღი - ღო და ა - ღი - ღო და

ვო - რი, ა - ღი - ღო და ა - ღი - ღო და

ვო - რი, ა - ღი - ღო და ა - ღი - ღო და

ვო - რი, ა - ღი, ა - ღი - ღო და ო!

ვო - რი, ა - ღი, ა - ღი - ღო და ო!

ვო - რი, ა - ღი, ა - ღი - ღო და ო!

## „ო ლ ტ ტ უ ს“

### ჩვენი პოლიკარპე

ანზორ ერქომაიშვილი – ლოტბარი, სახელმწიფო კონსერვატორიის საპატიო დოქტორი, ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელი:

პოლიკარპე ხუბულავა, ეს უნიჭიერესი მომღერალი და უნიჭიერესი ლოტბარი (ხაზს ვუსვამ, ცოტა თუ იქნება ისეთი ნიჭიერი კაცი, როგორიც ისაა) ბავშვობიდან მახსოვს. კი მიკვირდა, ეს მეგრელი კაცი რატომ ჩამოდიოდა ასე ხშირად ოზურგეთში. სანამ ბაბუა არტემი ცოცხალი იყო, პოლიკარპეს მასთან სულ ჰქონდა კავშირი. მის ძმებთანაც, განსაკუთრებით კი ლადიკო ერქომაიშვილთან, სიცოცხლის ბოლომდე მოდიოდა (ლადიკო 1982 წელს გარდაიცვალა). მე მაცვიფრებდა, რომ პოლიკარპემ შესანიშნავად იცოდა გურული სიმღერები, ისევე კარგად, როგორც მეგრული. თანაც საინტერესო ისაა, რომ მისი ინტონაცია და კუთხური საშემსრულებლო მანერაც აპსოლუტურად ემთხვევა გურულს. ჩანაწერი რომ მოისმინოთ, ვერ მიხვდებით, რომ მეგრელი მღერის. პოლიკარპემ ადრიდანვე შეითვისა და შეიყვარა გურული სიმღერები. ყველა დიდ გურულ მომღერალს იცნობდა. ვარლამ სიმონიშვილს ვერ მოესწრო, მაგრამ მის მოსწავლეებს, მომდევნო თაობის დიდ მომღერლებს ყველას იცნობდა და უნდა ითქვას, რომ ყველა მათგანს უხაროდა პოლიკარპესთან მღერა. არ ტოვებდა არც ერთ დღესასწაულს გურიაში და სხვა დროსაც ჩამოდიოდა. შერმადინ ჭკუასელთან ოჯახში ხშირად ყოფილა. ჯარში ერთად მსახურობდნენ ბათუმში, თურქეთის საზღვართან და გახურებული ომის დროს გურულ სიმღერებს მღეროდნენ. რო-

## ო უ ლ ტ უ ს

გორც ვიცი, დომენტი ქარჩავასთანაც მეგობრობდა. დომენტი და შერმადინი, ლადიკოს და კიდევ რამდენიმე კაცს თუ დავუ-მატებთ, ეს უკვე გურული სიმღერის მატიანეა – ყველა დროის საუკეთესო მომღერლები. აი, ასეთ წრეში ტრიალებდა ბატონი პოლიკარპე.

როცა წამოვიზარდე, მეც დამიმეგობრდა. ხშირად ჩავ-დიოდი ფესტივალებსა და კონცერტებზე სამეგრელოში. ყო-ველთვის სადმე „გადავეყყრებოდი“, აჭარაშიც ჩამოდიოდა. სა-დაც წახვიდოდი, ყველგან იყო. პოლიკარპე აქტიური პიროვნე-ბა გახლავთ და ყველგან თავისი გუნდით დადიოდა. ჰყავდა არაჩვეულებრივი მომღერლები. თავიდან, როცა მათ მიერ შესრულებულ მეგრულ სიმღერებს ვუსმენდი, ვხვდებოდი, რომ რაღაც სხვაგვარად, შეცვლილი სახით მღეროდნენ. მერე მივხვდი, რომ ასე გართულებულად ბატონი პოლიკარპე ას-წავლიდა შეგირდებს. თავიდან არაფერს ვამბობდი, მაგრამ, როცა სამეგრელოში რამდენჯერმე მითხვეს, რომ პოლიკარპემ მეგრული სიმღერები გააგურულაო, მერე ვკითხე სუფრასთან – ერთი მიმღერე ამ სიმღერის ვარიანტი-მეთქი. საოცარია: უამრავი ვარიანტი იცის, ახსოვს, ვის როდის უმღერია, როგორ უმღერია, არ არსებობს ინფორმაცია, მისთვის რომ უცხო იყოს. პოდა, დავასკვენი, რომ არანაირი გაგურულება არ ყოფილა, ეს იყო გართულება. ისე, როგორც თავის დროზე რემა შელეგიამ, ნოკო ხურციამ გაართულეს და საკუთარი ვარიანტები შექმნეს, ამან ახლა, თანამედროვე პირობებში, მეტი იმპროვიზაცი-ულობა, მეტი მოძრაობა შეიტანა ისე, რომ არ დაურღვევია არაფერი. ბატონი პოლიკარპე ნამდვილი შემოქმედია, ჭეშმა-რიტი დიდოსტატი, შესრულებისას საოცარად იმპროვიზირებს

## „ო ლ ტ ტ უ ს“

და იქვე ისეთ სვლებს აკეთებს, ვერასდროს რომ ვერ წარმოიდგენს კაცი. ამას უცებ აფიქსირებს და შემდეგ სხვებსაც ასწავლის. მისეული ვარიანტები ულამაზესად უღერს. აღსანიშნავია, რომ ბატონ პოლიკარპეს არაჩვეულებრივი მუსიკალური გემოვნება აქვს. გარდა იმ მუსიკალური აზროვნებისა, რომელმაც ჩამოაყალიბა მისი ფენომენი, მას აქვს საოცრად დახვეწილი გემოვნება, რომელიც ყოველ სიმღერაში იგრძნობა. ამას ემატება ჩონგურის ვირტუოზული ფლობა. ამბობდა, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, ქიონია ბარამიას დაკვრას მოვუსმინე და მსგავსი არაფერი მსმენიაო. თურმე ხშირად ჩადიოდა მასთან, ჩაცუცქული აკვირდებოდია მის ტექნიკას და ეს დიდი სტიმული აღმოჩნდა მისთვის. მას მერე ჩონგური აღარ გამიგდია ხელიდანო, – მეუბნებოდა. ეტყობა კიდეც: მის ხელში ეს საკრავი ორკესტრივით უღერს.

ჩემდა საბედნიეროდ, ყოველი შეხვედრისას ამ კაცში ახალ-ახალ თვისებებს ვპოულობ, საოცრად დადებითი ადამიანი იყო, ყველა უყვარს, ყველას პატივს სცემს, განსაკუთრებით აკაკი ხარებავას, თავის მასწავლებლადაც მიიჩნევს. საერთოდ, მისი ღირსებაა, რომ ყველა დიდი მომღერალი მისი მასწავლებელია. ვკითხავდი: შენ ხომ მასთან არ გიმღერია, როგორაა შენი მასწავლებელი-მეთქი? – მერე რა, მისი სიმღერა ხომ მომისმენია, ბაბუ, ესე იგი, რაღაც მასწავლა და ჩემს მასწავლებლად ვთვლიო, – უპასუხია.

არის ასეთი მეგრული სიმღერა მაგლონია (და არა მაგნოლია). ერთხელ სუფრასთან ვეუბნები: ხომ იცი, ყველა ვარიანტი ამოქექილი მაქვს და ეს რა სიმღერაა, არ გამიგონია, საიდან მოიტანე-მეთქი. – „ჰოპ, მაგი მე“... რაღაცა შორიდან

## ო უ ლ ტ უ რ

დაიწყო, „ლექსი მომცეს. კარგი იყო, მომენტია და ავიღე ერთი ძველი ინტონაცია (არ თქვა – რომელი), გადმოვაკეთე ჩონგურზე, მეორე მივუკეთე, ბანი შევუწყვე“. აღმოჩნდა, რომ მისი „გაკეთებულია“. ძლივს გამოვტეხე, საერთოდ, ჩემთან არც ახსენებს თავის საავტორო სიმღერებს და არც მასმენინებს.

მაგლონიასთან დაკავშირებით ახლა რაღაც გამახსენდა კიდევ. როგორც გითხარი, მას ჰყავდა არაჩვეულებრივი მომღერლები, ანსამბლ „ოდიოიას“ ძველი თაობა. ბატონ პოლიკარპეზე ვაკეთებდი ტელეგადაცემას და წესად მქონდა: ოპერატორები საუბარსაც იღებდნენ ხოლმე ჩუმად. იმ დროს უკვე გარდაცვლილია მისი ანსამბლის რამდენიმე წევრი. საუბარი მათ შეეხო და გულდაწყვეტით მითხრა, ხომ გახსოვს, როგორ მღეროდნენ? ახლა სადღაა ვანო ძაძუასნაირი ბანი?! სიურპრიზს ვუწყობდი და ვუთხარი: პოლიკარპე ბატონი, შენ თუ გახსოვს, ადრე რომ ჩავწერეთ თქვენი სიმღერები, ხომ არ გინდა, მისი ხმა ცალკე მოგასმენინო-მეთქი? ჩავურთე მაგლონია და ისმენს ბანს ყურსასმენებით. შევატყვე, რომ გადავარდა ფიქრებში თავის მეგობრებთან. შემდეგ გაყვა მეორე ხმით. მე რაღა დამრჩენოდა, პირველი ვუთხარი და ეს ყველაფერი გადაიღო ოპერატორმა (ეს მასალა გადაცემაში გამოვიყენე და ახლაც არსებობს არქივში). გავედით ბოლომდე და გაოგნებულ პოლიკარპეს კურცხალი მოადგა თვალზე. ეს რა მიქენი, ბაბუ, არ გამიცოცხლდა ეს კაცი?!

ბატონი პოლიკარპე უნიკალური პიროვნებაა, ჭკუასაკითხავი და ენციკლოპედიური ცოდნის ადამიანი, რომლის მსგავსი, მეორე არ მეგულება.



ანსამბლ „ოდოიას“ პირველი თაობა, ზუგდიდი

## ო ლ ტ უ



პოლიკარპე ხუბულავა, ანსამბლი „ჩელა“:

რევაზ სორდია, პაატა თოდუა, კაპიტონ დადიანი, ბოჩია თოდუა, გერონტი სალია, თენგიზ გვარაცხელია, ვეფხია ანთია, დომენტი კაკულია, ხუტა შანავა, ლიმერი გაბედავა.



პოლიკარპე ხუბულავა, ვეტერანთა ანსამბლი

ვლადიმერ ბერია, ჯოტო უბილავა, ნოდარ ჩხვიმიანი, შოთა მალაშეია, გრამიტო ფიფია, იმერი გაბედავა, იზოლდა ქობალია, იმედი ბერაია, გურამ გოგია, იოსებ გუნავა.

## ლეტტუ



მალხაზ ერქვანიძე, არქიმანდრიტი ნიკოლოზი (ლლონტი),  
პოლიკარპე ხუბულავა

**მალხაზ ერქვანიძე** – ეთნომუსიკოლოგი, სოციალურ მეც-  
ნიერებათა დოქტორი:

პოლიკარპე ხუბულავა, მართლაც, განსაკუთრებული ფი-  
გურაა – ნიჭიერებით, ბრწყინვალე მეხსიერებით და ამოუ-  
ნურავი შესაძლებლობებით გამორჩეული. დაახლოებით ასეთი  
იყო ბენია მიქაძეც.

ბატონი პოლიკარპეს პიროვნული თვისებებიდანაც მხო-  
ლოდ კარგს აღვნიშნავ. ქართველ მეურნალს ფანასკერტელს  
უთქვამს: თუ დაავადებას ესა და ეს კონკრეტული წამალი ვერ  
შველის, ავადმყოფთან მეგობარი მიიყვანეთ და ის მოარჩენსო.  
ასეთი ფაქტის შემსწრე არაერთხელ გავმხდარვარ. 1987-1991  
წლებში რამდენიმე ტრიო ჩამოვაყალიბე: მე, პოლიკარპე და ბე-  
ნია მიქაძე; მე, პოლიკარპე და მოსე მუავანაძე; მე, პოლიკარპე

## ო უ ლ ტ უ რ

და დიმიტრი იმედაიშვილი... ვმეცადინეობდით და მშვენიერ რეპერტუარს მოვუყარეთ თავი.

დიმიტრისთან ვან-ზომლეთში დავდიოდით ხოლმე. ეს ის დიმიტრია, რომელთანაც გრიგოლ ჩხიკვაძე და ივეტ გრიმო იყვნენ 1967 წელს. ერთადერთი იყო, რომელმაც გურული გა-ლობა იცოდა, თანაც სულ უცხო-უცხო საგალობლები. აუდიო-ჩანაწერებიც მაქვს, არაჩვეულებრივი მასალა. ამ დროს ბე-ნია მიქაძე ჩავარდნილი იყო, ინსულტიანი. ვიცოდით, დიდი დღე აღარ ეწერა და გზად მასთან შევიარეთ. მე და ბატონი პოლიკარპე დილით რომ დაგვინახა, – ვკვდებიო, – გვითხრა. მართლაც, ყოველი სიტყვის შემდეგ სუნთქვა უჭირდა. პო-ლიკარპეს დანახვამ ძალიან გაახარა. მან პულსი გაუსინჯა, ნუ გეშინია, არ მოკვდები, კიდევ ვიმღერებთ ერთადო, – მიეფერა. დაჰპირდა: საღამოს მე და მალხაზი ჩამოვალთ, გინახულებთ და კარგად უნდა დაგვხვდეო. მართლაც, ეს გადადებული კაცი, წამომჯდარი, წვერგაპარსული არ დაგვხვდა?! გველოდებოდა და ბევრიც ვიმღერეთ.

ნანა მუავანაძის ბაბუაც, კიბოთი დაავადებული მოსე მუა-ვანაძეც, ასე გამოაცოცხლა. მისი წამოდგომა წარმოუდგენელი იყო. ისე გაუხარდა პოლიკარპეს ნახვა, რომ ბოლო ძალები მოიკრიბა, სუფრასთანაც დაჯდა, ვიმღერეთ კიდეც. როგორც კი წამოვედით, ისევ ჩანვა და მალე გარდაიცვალა. ბევრი რამ სახელდახელოდ აღვტეჭდე მინიდისკებსა და ვიდეოფირზე.

ბატონი პოლიკარპე მოყვასის სიყვარულით არის სავსე. ტიპია ასეთი, სულ გამხნევებს, გაიმედებს: კაცო, ასი წელი იყავი! მილიონი წელი იყავი! სულ იყავი, ჩემო ბატონო! – იცის ხოლმე დალოცვა.

A decorative flourish consisting of three stylized, symmetrical scroll-like shapes, each ending in a small circular ornament.

ანსამბლ „ანჩისხატთან“ ინტენსიური შეხვედრები არ ჰქონია. ანჩისხატელებს ძედინერა და რამდენიმე მეგრული ნიმუში გვასწავლა. ჩვენი საჩინგურო – ლუკებმა რომ დამიჭირეს ნამდვილად მისეული ვარიანტია, მისამლერი პოლიკარპეს დამატებულია. როგორც თვითონ ამბობს, ტექსტი გიორგი სალუქვაძისგან აულია.

მე მასთან სულ დავდიოდი კონსულტაციებზე. პირველად, როცა ჯიხაშვარში ვეძებდი, ძლივს მივაგენი. ისეთი ცუდი გზები იყო – ძლივს მივედი. ძალიან კარგი მიმღერლები ჰყავდა – ძმები ძაძუები. სამეგრელოში სტუმრისათვის გოჭის დაკვლა იციან. მაშინ 67 წლისა იყო და ცოლს უთხრა: „ვგულაობ და ანი მინდა ცხოვრებაო“ (მალხაზი გულიანად იცინის, რადგან მან-დილოსნებისადმი პოლიკარპეს განსაკუთრებული დამოკიდებულება ახსენდება).

ასაკში სხვაობა მისთვის არ არსებობს, ყველაფერში მხარს აგიბამს. თბილისში ჩემთან რჩებოდა, ნაქირავები ბინის გასაღებს ვაძლევდი ხოლმე. მის ჩამოსვლას სახლთან მიახლოვების-თანავე ვხვდებოდი: თუ აქ იყო, აუცილებლად ჩინგურზე უკრავდა. „უიგული“ ჰყავდა (მთავრობამ ახალი-06 აჩუქა) და სულ მეუბნებოდა: რად მინდა მანქანა? წავიდეთ სადმე! მშია, მშია სიმღერაო.

გურული სასიმღერო სტილის სიყვარულის გამო ბენია ხშირად ეუბნებოდა: ფალსიფიკატორი ხარ შენო. მართლაც, არც ერთი გურული სიმღერა არ გამოეპარება. მაგრამ საოცარია, რომ პოლიკარპე ხუბულავას ყველაფერი ხელენიფერა. მაგალითად, ბატონი გური სიხარულიძე მხოლოდ გურულ ნიმუშებს ასრულებს, ისლამ ჯილვანმა მიგრული და გურული

## ო უ ლ ტ უ ლ

სიმღერებიც იცის. პოლიკარპემ – გურულიც, სვანურიც, ქართლ-კახურიც, ჩანგა და ჭუნირზეც უკრავს... ბატონმა პოლიკარპემ ყველაფერი იცის!

**ლია სალაყაია** – ლოტბარი, საპატრიარქოს სამრევლო სკოლის რეგენტი:

ბატონ პოლიკარპეს პირველად ზუგდიდში შევხვდი. მაშინ მეუფე გერასიმეს ვაჟთა გუნდის წევრები იქაური სამრევლო სკოლის ბაზაზე სიმღერა-გალობაში იდგამდნენ ფეხს. იმ პერიოდში ბატონმა პოლიკარპემ რამდენჯერმე გვინახულა და თავისი გუნდები გაგვაცნო; ანაკლიაში ერთადაც ვისვენებდით... ბიჭები სიმღერაში მასთან მეცადინეობდნენ, გალობაში – ჩემთან.

პოლიკარპე საოცარი ადამიანი იყო – ხანდაზმული ახალ-გაზრდა. ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ, მახსოვს, ერთმა ჩემმა ახლობელმა გოგონამ თქვა, მთელ სცენაზე ყველაზე ახალ-გაზრდა ბატონი პოლიკარპე იყოო. ყველაზე მეტი, ალბათ, ბატონ პოლიკარპეზე ამჟამინდელი მეუფე გერასიმეს ვაჟთა გუნდის რეგენტმა, დათო დარასელიამ იცის. მახსოვს დათო იმ დროს პატარა ბიჭი იყო. მან ერთ-ერთმა პირველმა იგრძნო და დააფასა პოლიკარპეს ნიჭი და სიდიადე. მაშინ დათომ მითხრა, პოლიკარპემ იმდენი სიმღერები იცის, მე მას აღარ მოვშორდებიო.

პირადად მე, სამწუხაროდ, მხოლოდ მცირეხნიანი ადამიანური და პედაგოგიური ურთიერთობა მაკავშირებს ბატონ პოლიკარპესთან. ხშირად ვეკითხებოდი: ვინმე ხომ არ ჰყავდა სახელოვანი წინაპარი. იგი, მართლაც, ძალიან დიდი ნიჭის,

## ს უ ლ ტ ტ უ ს

---

ძალისა და უნარის მატარებელია, რაც, ბუნებრივია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. ბოლოს გამოვიძე და აღმოჩნდა, რომ წინაპარი დიაკვანი ჰყოლია. შეიძლება ითქვას, რომ მე ჩემთვის ამოვხსენი მისი სიდიადის მიზეზი.

**გიორგი დონაძე** – ლოტბარი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი, ანსამბლ „ბასიანის“ ხელმძღვანელი:

პოლიკარპე ხუბულავა ქართული სიმღერის მემატიანეა. მის თვალწინ გაიარა ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობის ხანგრძლივმა ეპოქამ, უამრავ მომღერალსა და ლოტბარს იცნობდა. მისი ცოდნით, მეხსიერებითა და საშემსრულებლო რსტატობით ყველა აღფრთოვანებულია. ამ ბოლო დროს, ტრადიციული მრავალხიანობის სიმპოზიუმზე ჩამოსული ცნობილი ეთნომუსიკოლოგები – სიმპა აარომი და პოლო ვალეჰოც გააკვირვა.

ბატონი პოლიკარპე გახლავთ საოცრად კარგი პიროვნება, ალალი, პირდაპირი, დაუზარელი და უღალატო, ნებისმიერ დროს შენს გვერდით გაჩნდება. განსაკუთრებით მინდა, ხაზი გავუსვა ახალგაზრდა თაობასთან მის დამოკიდებულებას და ერთი შემთხვევა გავიხსენო: დათო უზნაძის ცოლი უნივერსიტეტში აბარებდა და გამოცდისათვის დახმარება გვთხოვა. ბატონი პოლიკარპე ზუგდიდიდან საგანგებოდ ამისთვის ჩამოვიდა და ერთად ვიმღერეთ.

ანსამბლ „ბასიანთან“ ახლო ურთიერთობა აქვს, ბევრი სიმღერა გვასწავლა, მეგრული ჩონგურის წყობაც მისგან ავითვისეთ. ხშირად გვეუბნება „მალადეცები“ ხართო. დიდი გუნდის შესრულებით რომ მოვასმენინე რემა შელეგიას სიმღერების

## ო ლ ტ რ უ

---

ვარიანტები, ერთი თვე მირეკავდა, იცოდე, არ დაშალოო. ძალიან თავმდაბალია, არასოდეს უსვამს ხაზს საკუთარ ღვაწლს. მაგალითად, ნამდვილად ვიცი: ჩელას ცნობილი – აკაკი ხარებავასეული ვარიანტის შექმნაში ისიც მონაწილეობდა, მაგრამ ამას არ ამხელს ხოლმე.

2004-ში 80 წელი შეუსრულდა და ძალიან გვინდოდა ამ საიუბილეო თარიღის აღნიშვნა. ხონისა და სამტრედის ეპარქიის მეუფეს – საბას ვუთხარით ამის შესახებ. ის წარმოშობით სენაკიდანაა, ჩვენგან გაიცნო პოლიკარპე და ძალიან აფასებს მას. მეუფის ძალისხმევით დიდი ზეიმი მოვუწყეთ. დანგრეული თეატრის დარბაზი სავსე იყო. ლოტბარმა „ბასიანთან“ ერთად 10-მდე სიმღერა შეასრულა. მათ შორის მე რუსთველი, ჩვენ მშვიდობა, მაგლონია, ვახტანგური. ჩვენ იმერულები ვიმღერეთ, ყუმურის ნადურიც. დიდი სუფრაც გაიშალა. ბატონი პოლიკარპე არ ელოდა ამას და ძალიან კმაყოფილი დარჩა.. მაშინ ასეთი სალამოს ორგანიზება საკმაოდ ძნელი იყო. არ მინდა, ეს ფაქტი დაიკარგოს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლოტბარისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ფონდი „ქართუს“ დაფინანსებაც.

პოლიკარპე ხუბულავას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ნაშრომის გამოცემა მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია.

**დავით ცინცაძე** – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის მაგისტრანტი, ანსამბლ „შავნაბადას“ ხელმძღვანელი:

ბევრს შეიძლება გაუკვირდეს კიდეც, მაგრამ ბატონი პოლიკარპე ჩემი მეგობარია. ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობა

## „ლოტონა“

62 წელია. მიუხედავად ამისა, მასთან ყველანაირ თემაზე შემიძლია ვისაუბრო.

როცა მეგრული ხალხური სიმღერის სიღრმისეულად შესწავლით დავინტერესდი, რა თქმა უნდა, ზუგდიდს მივა-შურე. მე და ხმის რეჟისორმა დავით ხოსიტაშვილმა პატონი პოლიკარპესგან 40-მდე ნიმუში ჩავიწერეთ. ეს არის მეგრუ-ლი სიმღერის ნაკლებ ცნობილი ვარიანტები. მათი ნაწილი „ოდოიას“ ამღერა (ზოგიერთ მათგანს იქვე, ჩაწერის პროცესში ასწავლიდა). ცოტა რომ გადაიღალა, ანსამბლი დაითხოვა და შედარებით რთული ნიმუშები, რომელთა შესწავლას ასე სახელდახელოდ ვერ მოახერხებდა, თვითონ შეასრულა. მეო-რე დღეს თავის შეგირდ დავით დარასელიას ოჯახში მოვიდა.. ჩვენ იქ ვიყავით დაბინავებული. აპარატურა ავანყვეთ, ხარის-ხის ასამაღლებლად ორი მიკროფონი დავუდგით, ყურსაც-ვამები გაიკეთა, დაიდგა სკამი, წყალი და დავიწყეთ ჩაწერა. კომბინირებული წესით 15-მდე ნიმუში ჩავწერეთ. ლუდით შეზარხომებულმა გურული შვიდკაცა ჩვენთან ერთად წაიმღე-რა და ბოლო სიმღერის ჩაწერისას ისე მოხდა, რომ მეგრული სიმღერა ვერაფრით დააბოლოვა (ჩანს, გონებაში ისევ თავისი საყვარელი გურული კადანსი უტრიალებდა). ამომხედა, გაიღი-მა, თავიდან დაიწყო და ისევ გაჩერდა. მიხვდა, რომ რაღაც არ გამოსდიოდა. მერე უკვე სერიოზულად გაპრაზდა, მოიხსნა ყურსაცვამები, ამომხედა და მიჩურჩულა, ეს ხმის რეჟისორი რამდენად სანდო კაციაო? ისევ იმღერა, ისევ არ გამოუვიდა. მოიხსნა ყურსაცვამები, ჩემკენ ახლოს მოიწია (შესაბამისად, მიკროფონს უფრო დაუახლოვდა) და მეუბნება, მოაშორეთ ის კაცი აქედან, ხელს მიშლის თავისი ხიმანდრობებით, თორემ

## ო უ ლ ტ უ ლ

ასე არასდროს დამშართნიათ. ნათქვამი ხმის რეჟისორმაც გაიგო და ბევრი ვიცინეთ. ამის შემდეგ ბატონი პოლიკარპე დათო ხოსიტაშვილთან სტუმრად კიკეთშიც ჩადიოდა და ასე გაგრძელდა მათი მეგობრობა. იქ რამდენიმე აფხაზური სიმღერაც გვიმღერა. ძალიან დავახლოვდით.


ერთხელ მატარებლის ბაქანზე დავხვდი. გაჩერდა მატარებელი, დავინახე თეთრებში კოხტად გამოწყობილი. მატარებლის კართან მივვარდი და ბარგი გამოვართვი. კიდევ მომაწოდა, კიდევ გამოვართვი, უკვე ორივე ხელი დაკავებული მაქვს და კიდევ მაწვდის. უცებ პოლიკარპეს მეგრული აქცენტით მესმის: „დადევი ჩანთები ნიადაგზე და გამომართვი ეს!“


ჩემთან წავიყვანე. სახლში, საძინებელი ოთახის ჭერზე ჩემს დას ფოსფორის ვარსკვლავები მიეკრა. შუქს რომ ჩააქრობ, ლამაზად ანათებს. აქ დავაბინავე პოლიკარპეც. გვიანი იყო, ვიძინებდით და თან საინტერესო ამბებს მიყვებოდა, ისაა უნდა ჩამეძინოს, რომ უცებ შემაღვიძა: „ბაბუ, დათო, რამდენ სართულიანია ეს ნაგებობა?“ – მეკითხება. ცხრა-მეთქი, ვუპასუხე. „ჩვენ რამისიმაღლეზე ვართ მერე ახლა?“ – მეექვსეზე ვართ და რა მოხდა-მეთქი? „მერე გაახილე თვალები, მგონია, ჭერი არ გვაქ თავზე, ბიჯო!“ როცა ავუხსენი, ბევრი იცინა და რამდენიმე თვე სულ ხალისობდა ამაზე.

რაც შეეხება მის ღვანლს, ამქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება, ყველაფერი ღვთის ნებაა და უნდა შეგახსენოთ, რომ პოლიკარპე ხუბულავა მეგული სიმღერის პატრიარქის – ძუკულოლუას გარდაცვალების წელს არის დაბადებული. მის მიერ შესრულებული ნიმუშები მეგრული სიმღერის განვითარებისა და, ზოგადად, ქართული ფოლკლორული შემსრულებლობის

A decorative horizontal scrollwork border element consisting of a series of stylized, symmetrical scroll or wave-like motifs.

ისტორიაში მნიშვნელოვან ეტაპად მიმართია. უდავოდ, უნიკალური პიროვნებაა. მე, პირადად, არა მხოლოდ მეგრული სიმღერა მასწავლა, არამედ, დასავლეთ საქართველოს მუსიკალური აზროვნების უმნიშვნელოვანესი თავისებურებები გამა-თავისებინა. ამისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ.





# ს უ ბ რ ი

## გამოყენებული ლიტერატურა:

### ა) წიგნები, სტატიები

გუდავა, ტოგო (შემდგ. და რედაქტ.). (1975). ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები. I — პოეზია. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ზაქარაია, პარმენ (1980). ჭაქვინჯა. თბილისი: მეცნიერება.

ზემოვსკი, იზალი. (2002). მრავალხმიანობა, როგორც შემოქმედებისა და აზროვნების საშუალება: homo Polyphonicus-ის მუსიკალური იდენტურობა. წიგნში: ტრადიციული მრავალხმიანობის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი (რედ. წურწუმია, რ. და ჟორდანია, ი.). თბილისი: პოლიგრაფი. გვ. 34-44.

კალანდაძე, ნინო და ურუშაძე, ლელა (2003). შტრიხები პორტრეტისათვის – რემა შელეგია. წიგნში: ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები. სამეგრელო — II. თბილისი: საქართველოს მაცნე.

მაკალათია, სერგი (1941). სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი: საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოება.

მოსია, თეა (2001). პარიზის „ოლომპოში“ ზეიმი მეგრული სიმღერით გაიხსნა. გაზეთი „აზრი“. 02. 10., გვ. 2.

სამუშაია, კალისტრატე (2001). ძველი კოლხური (მეგრული) ლექს-სიმღერები. ზუგდიდი: ეგრისის მაცნე.

სუხიაშვილი, მაგდა (2007). დიმიტრი (დიტო) ჭალაგანიძე. წიგნში: ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები. სამეგრელო – II. თბილისი: საქართველოს მაცნე.

სუხიაშვილი, მაგდა და ონიანი, ეკატერინე (2011). დიტო ჭალაგანიძის ნევმირებული ხელანერის შესწავლისათვის. ბიზანტოლოგია საქართველოში. ტ. II. თბილისი: ლოგოსი.

ურუშაძე, ლელა (2007). ინტერვიუ პოლიკარპე ხუბულავასთან. წიგნში: ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები. სამეგრელო — IV. თბილისი: საქართველოს მაცნე.

## ო უ ლ ტ რ უ ლ

---

ციკოლია, ანდრია (2004). ქართული გალობის დაცვა-გადარჩე-ნისათვის. იხ. ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის გაზეთი „საფარველი“, №6 (44), გვ. 12-13.

წურწუმია, რუსუდან და ციგლერ, სიუზან (რედ.). (2014). ექო წარსულიდან: ქართველ ტყვეთა სიმღერები, ჩანტერილი ცვილის ლილ-ვაკებზე გერმანიაში 1916-1918. თბილისი: სეზანი.

ჭითანავა, დავით. (2010). ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებო-ბები სამეგრელოში. თბილისი. მწიგნობარი.

### **ბ) სანოტო კრებულები:**

ერქვანიძე, მალხაზ. (შემდგ.). (2003). ქართული საეკლესიო და სალხინო საგალობლები (გურული კილო). თბილისი: ხელოვნება.

ერქვანიძე, მალხაზ და ვეშაპიძე, ლევან. (შემდგ.). (2003). ქარ-თული გალობა – გელათის სკოლა. თბილისი: ხელოვნება.

ერქვანიძე, მალხაზ. (შემდგ.). (2011). ქართული საეკლესიო გა-ლობა – გელათის სკოლა. ტ. VI. თბილისი: საქართველოს საპატირი-არქოს საეკლესიო გალობის ცენტრი.

ერქომაიშვილი, ანზორ. (შემდგ.). (2005). არტემ ერქომაიშვილის სანოტო კრებული. თბილისი: ქართული ხალხური სიმღერა. თბილისი: ხელოვნება.

კოკელაძე, გრიგოლ (შემდგ.). (1984). ასი ქართული ხალხური სიმღერა. თბილისი: ხელოვნება.

კოკელაძე გრიგოლ (შემდგ.). ხელნაწერი სანოტო კრებულები. იხ. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერ-ვატორიის ფოლკლორის ლაბორატორიის არქივი და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელნაწერთა ფონდი.

ჩიჯავაძე, ოთარ (შემდგ.). (1974). ქართული ხალხური სიმღერე-ბი. მეგრული. თბილისი: ხელოვნება.

ჭოხონელიძე, ევსევი (შემდგ.). ქართული ხალხური მუსიკა. სამე-გრელო. (2003). I ტომი. ჭოხონელიძე, კუკური (შემდგენელი). თბილი-სი: ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი. თბილი-

## „ო ბ ე ტ ი ს“

---

სის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი.

ჭუმბურიძე ვლადიმერ (შემდგ.). (1972). ქართული ხალხური სიმღერების კრებული. სამეგრელო. თბილისი: საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო. ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი.

Аракчиев, Дмитрий. (1908). Народная песня Западной Грузии (Имеретии). С приложением 83 песен в народной гармонизации. Москва. Оттиски из II т. «Трудов Музыкально-Этнографической Комиссии» (МЭК).

Гроздов, Христефор. (1894). Мингрельские песни. Нотное приложение записей к Сборнику материалов для описания местностей и племен Кавказа. Вып. XVIII. Тифлис, Типография Канц. Наместника Его Императорского Величества на Кавказе и К. Козловского.

### გ ა უ დ ი ო გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი:

შევისწავლოთ ქართული ხალხური სიმღერა. მეგრული სიმღერები. სანოტო კრებული ოთხი კომპაქტდისკით (2005). თბილისი: საქართველოს მაცნე.

შევისწავლოთ ქართული ხალხური სიმღერა. მეგრული სიმღერები. 3-დისკიანი ნაკრები (2003). თბილისი: ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი და საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“.

პოლიკარპე ხუბულავა (2007). თბილისი: ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი და საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“.

უნიკალური ჩანაწერები: გური და ტრისტან სიხარულიძეები, პოლიკარპე ხუბულავა, ანზორ ერქომაიშვილი, მერაბ კალანდაძე, ანსამბლი „პასიანი“ (2013). თბილისი: ფონდი „ქართული გალობა“.

# ო უ დ ი ლ ტ რ უ ს

---

## აუდიოდანართის ნუსხა<sup>1</sup>:

1. შენ ხარ ვენახი (ლვთისმშობლის საგალობელი). ერასტი ხუბულავას ვარიანტს ასრულებს პოლიკარპე ხუბულავა.
2. მერცხალო, მშვენიერო (იოანე ნათლისმცემლის საგალობელი). ერასტი ხუბულავას ვარიანტს ასრულებს პოლიკარპე ხუბულავა.
3. ქრისტე აღდგა (სააღდგომო საგალობელი). ერასტი ხუბულავას ვარიანტს ასრულებს პოლიკარპე ხუბულავა.
4. ალილო (საშობაო მილოცვა). ასრულებს პოლიკარპე ხუბულავა.
5. თუთა ახალი (საწესო-რიტუალურ ტექსტთან მისადაგებული საჩინგურო). ასრულებენ: გენო ჯანაშია, პოლკარპე ხუბულავა და ჯოტო უბილავა. ჩონგურზე უკრავს პოლიკარპე ხუბულავა.
6. იავნანა (ბავშვის დასაძინებელი). ასრულებს პოლიკარპე ხუბულავა.
7. ჭიჭე ტურა (სახუმარო, ჩონგურით). ასრულებენ: გენო ჯანაშია, პოლიკარპე ხუბულავა და ვანო ძაძუა. ჩონგურზე უკრავს პოლიკარპე ხუბულავა.
8. ძველი ოდოია (შრომის). ასრულებს პოლიკარპე ხუბულავა.
9. ხემხვაია (შრომის). მარკოზ თორდის ვარიანტს ასრულებს პოლიკარპე ხუბულავა.
10. მარებელი (სახუმარო, ჩონგურებით). ასრულებს ანსამბლი „ჩელა“. სოლისტები – გერონტი სალია და პოლიკარპე ხუბულავა.
11. მაყრების მგზავრული (საქორნილო). ასრულებს პოლიკარპე ხუბულავა.
12. აჭარული მაყრული (საქორნილო). ასრულებს პოლიკარპე ხუბულავა.
13. ძველი მგზავრული (საწესო). ასრულებს პოლიკარპე ხუბულავა.

---

<sup>1</sup> დისკზე შეტანილი ნიმუშების უმეტესი ნაწილი ჩაწერილია წიგნის ავტორის მიერ ფოლებლორის სახელმწიფო ცენტრის მოძრავი ხმის ჩამნერი სტუდიის მრავალარხიანი აპარატურით 2014 წლის აპრილში, ზუგდიდში.

№№ 20, 28 და 30 აღებულია ფოლებლორის სახელმწიფო ცენტრის 2007 წლის ჩანაწერებიდან. №№ 5, 7, 17 – კრებულიდან „შევისწავლოთ ქართული ხალხური სიმღერა. მეგრული სიმღერები“. სანოტო კრებული ოთხი კომპაქტდისკით. 2005 წ., თბილისი: საქართველოს მაცნე.

## ს უ ბ უ ლ ა ვ ა

---

14. ბედინერა (საქორწილო). ერასტი ხუბულავას ვარიანტს ასრულებს პოლიკარპე ხუბულავა.
15. ბედინერა (საქორწილო). ასრულებს „ოდოიას“ მეორე თაობის ტრიო.
16. კეისრული (ლაშქრული). ასრულებს „ოდოიას“ მესამე თაობა.
17. მიცორს ფაცხა (ლირიკული). ასრულებენ: გენო ჯანაშია, პოლიკარპე ხუბულავა და ხუტა ქელბაზინი.
18. ნანია, ნანა (ლირიკული). ძმები სიჭინავების ვარიანტს ასრულებს პოლიკარპე ხუბულავა.
19. ძველი ჩელა (ლირიკული, ჩონგურით). აკობიების ვარიანტს ასრულებს პოლიკარპე ხუბულავა.
20. ხარათია (სუფრული). ასრ. „ოდოიას“ მეორე თაობა. დამწყები პოლიკარპე ხუბულავა.
21. დილ-დილა (საწესო). ერასტი ხუბულავას ვარიანტს ასრულებს პოლიკარპე ხუბულავა.
22. ჰაი-ჰუ, ადილო (საწესო). ერასტი ხუბულავას ვარიანტს ასრულებს პოლიკარპე ხუბულავა.
23. ჰარანანი (საწესო). ერასტი ხუბულავას ვარიანტს ასრულებს პოლიკარპე ხუბულავა.
24. მუსხი ოქრო (ეპიკური, ჩონგურით). ასრულებს პოლიკარპე ხუბულავა.
25. აფხაზური სატრფიალო (ლირიკული, ჩონგურით). ასრულებს პოლიკარპე ხუბულავა.
26. ბაღჩას ვორდი (ლირიკული, ჩონგურით). ასრულებს პოლიკარპე ხუბულავა.
27. ლეკებმა რომ დამიჭირეს (ეპიკური, ჩონგურით). ასრულებს პოლიკარპე ხუბულავა.
28. ზესქვი უჩა (ლირიკული). ასრულებს „ოდოიას“ მეორე თაობა.
29. მაგლონია (სატრფიალო, ჩონგურით). ასრულებს „ოდოიას“ მესამე თაობა.
30. საჩონგურო პოპური. უკრავს პოლიკარპე ხუბულავა.

დისკი მოამზადა უჩა ჰატარიძემ  
ხმის რეჟისორი – არჩილ ბურჭულაძე



## შინაარსი

წინათქმის მაგიერ .....	6
საქორთუოშ მაფშალია .....	9
რაც მინახავს და მსმენია .....	49
მრავალხმიანი აზროვნება – უწყვეტი ტრადიცია .....	58
ნოტირებული საგალობლები .....	66
ჩვენი პოლიკარპე .....	75
გამოყენებული ლიტერატურა .....	91
აუდიოდანართის ნუსხა .....	94